# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 თებერვალი 2008 №041 (3265)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პორტუგალიელთ, რუსეთი გველის ჩეხეთთან ლელო ასიანია

პორტუგალიელებს ვერც შემადგენლობის დამალვამ უშველა და ვერც ჩვენი მორაგბეების მოედანზე არშეშვებამ თამაშის წინა საღამოს. პორტუგალიას 11:6 მოვუგეთ!

წლეულს სამი თამაშის მომგებ საქართველოს ნაკრებს ამ ერთა თასზე სამი თამაშიღა დარჩა — ჩეხეთთან, რუსეთთან და ესპანეთთან.

თუ ამ ცხოვრებაში რამე ნაღდი და უეჭველია, ეს ჩვენი „ლელოების" გამარჯვებაა ჩეხებთან და ესპანელებთან. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველებს, ევროპის ერთა თასი აქამდე ერთადერთხელ რომ მოგვიგია, მეორედ მოგებამდე რუსეთის ძლევა გვჭირდება. რუსეთი კი ის ერთადერთი გუნდია, ჩვენთან ჭიდილს რომ აგრძელებს.

თანაც თამაში რუსეთშია, შუაგულ ციმბირში.

ოღონდაც, რუსთა ძლევას რაგბიში ისე დავეჩვიეთ, თითქოს მართლა ხელწამოსაკრავი გუნდი იყოს და მაინც: ჩვენ გვჯერა ჩვენი მორაგბეთა ნათქვამის, მომდევნო სამი წელი, ანუ მომდევნო მსოფლიოს თასამდე, ერთი თამაშიც არ უნდა წავაგოთო!

მომდევნო, ჩეხეთთან მატჩი კი საქართველოს ნაკრებისთვის მე-100 იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 0 | 3 | +62 | 8 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 0 | 4 | +17 | 6 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 0 | 3 | +8 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |



ირაკლი აბუსერიძემ და „ლელოებმა" პორტუგალია ლისაბონშიც მიწაზე გააკრეს

# რაღაც ევროპული საქართველოში: ცხრილის თავები ქულებს კარგავენ

## ზესტაფონმა დინამო წაგებაში არ მიატოვა



„ვიტ ჯორჯიამ" თავისი და „დინამოს" საქმე გააკეთა: „ზესტაფონს" ლიდერობა არ დაანება, თავად კი მეორე ადგილზე აინაცვლა

გოგა ჩანადირიშვილის ფოტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 36:6 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 1 | 2 | 27:9 | 34 |
| ზესტაფონი | 14 | 11 | 1 | 2 | 27:8 | 34 |
| ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 15:9 | 27 |
| ბორჯომი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:10 | 25 |
| ამერი | 14 | 7 | 1 | 6 | 22:17 | 22 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 8:23 | 13 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:22 | 10 |
| დილა | 14 | 1 | 4 | 9 | 7:24 | 7 |
| ბათუმი | 14 | 1 | 2 | 11 | 5:28 | 5 |

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 14 ტური

ურიდიული ბიბლიოთეკა

თბილისი. 24 თებერვალი. 14 საათი. ამერი. 600 მაყურებელი

## ამერი 1:1 ლოკომოტივი

1:0 დეკანოსიძე (29პ), 1:1 ქუცურუა (77)

| ამერი | ლოკომოტივი |
|---|---|
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი (მესხი 63), დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, შალამბერიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, სილაგავა (დოლიძე 67), რ. გოცირიძე (ტატანაშვილი 70), ს. დავითაშვილი | ლოკომოტივი: მ. ალავიძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი (ფარულავა 34), დ. ფოფხაძე, ქუხილავა, გ. კვახაძე, ბარბაქაძე, ქუცურუა, გულორდავა, კაჭახიძე (დ. ჩაგელიშვილი 46), ალავერდაშვილი (გილაური 60) |
| სათადარიგონი: გვენცაძე, დ. მჭედლიშვილი, ხუციძე, ჩიმაკაძე | სათადარიგონი: მიგინეიშვილი, ბუდალაშვილი, წულაძე, ნიკოლაიშვილი |
| მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა | მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |

გაფრთხილება: ქუცურუა (17), კვახაძე (43), ბარბაქაძე (85)

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი, ვ. გუმბერიძე

დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია; დირექტორი: შ ბაქრაძე



კობა შალამბერიძის თავური ხარიხას მოხვდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# მოგონებანი გარდასულ დღეთა

კოტე კეკელია

**პირველი** მოგონება: სამი წლის წინ, 19 ნოემბერს, იმ დროისთვის უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ამერი" ჩემპიონატის მე-14 ტურში ბოლნისის „სიონს" მასპინძლობდა. თამაში უგოლო ფრისკენ წავიდა და ამ დროს, მსაჯის წამატებულ წუთზე, „ამერის" კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. დარტყმა გიორგი ქუცურუამ ითავა და... მზისგან თვალმოჭრილმა ლადო ნადირაშვილმა არცთუ ძნელად მოსაგერიებელს ხელი ააცილა. იმ წაგებით „ამერმა" იმავ ტურში ქულებდაკარგული „დინამოს" გადასწრების შანსი დაკარგა.

გუშინაც მე-14 ტური იყო, ამერელთა კარში ისევ ლადო ნადირაშვილი იდგა, ისევ ჯარიმა დაინიშნა და დარტყმა ისევ გუნდშეცვლილმა გიორგი ქუცურუამ ითავა...

მსგავსებაც აქ მთავრდება, რაკი სამი წლის წინანდელისგან განსხვავებით, კაცი უმადური უნდა იყო, ეს გოლი ნადირაშვილს დააბრალო. ქუცურუას დარტყმული ისე ეფექტურად გადასცდა ცოცხალ კედელს და ცხრიანში ისე ჩაეჭედა, მეკარე აშკარად უბრალო იყო. უბრალო კი არა, „ყვითლებმა" თავის მეკარეს მადლობა უნდა უთხრან, ამ ერთი ქულის ალებისთვისაც: ლადომ ორჯერ პირისპირ გასულ მეტოქეს დასწრებაზე აჯობა, გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე იმავ ქუცურუას სახიფათო საჯარიმოს კარგად გაუმკლავდა, მეორე წამატებულ წუთზე კი სოსო გილაურის დარტყმის მერე კარი ნაღდი გოლისგან იხსნა.

„ამერის" ძირითადი მეკარე ზურაბ ქვაჩახია პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაშლილი მატჩის მერე მიღებულ სამმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის და ნადირაშვილიც მის მაგივრად იდგა კარში.

მეორე მოგონება: ამ სეზონის პირველ წრეში, 10 აგვისტოს, უდავო ფავორიტი „ამერი" „მიხეილ მესხზე" „ლოკომოტივს" პირველ ტაიმში გატანილი პენალტით უგებდა. შესვენებამდე და მეორე ტაიმის დაახლოებით 20 წუთში თამაში ისეთი იყო, გლდანელებს წაგებისა არც უნდა შეშინებოდათ, მერე კი... მოკლედ, „ამერმა" მოახერხა და, სეზონის სტარტზე სამი ქულა დაკარგა, რასაც პირველი წრის, ფაქტობრივად, ჩავარდნა მიაყოლა. ახლაც, „ამერმა" პირველი ტაიმი პენალტით მოიგო და...

მსგავსება ამჯერადაც აქ მთავრდება. იმ პირველი წრის მატჩში რკინიგზელთა გამარჯვებას მეკარე დავით გვარამაძის უაღრესად საიმედო თამაშმა და ლევან ყენიას შექმნილმა მომენტებმა განაპირობეს. ახლა კი, მოგეხსენებათ, ყენია გელზენკირხენშია, გვარამაძემ კარიერა დაასრულა და „ლოკომოტივისგან" „ამერისთვის" 2 ქულის ართმევასაც სხვა მიზეზები ჰქონდა.

უფრო სწორად, მიზეზები კი არა, მიზეზი: მასპინძელთა შეცდომები. თამაშის მერე სტუმართა მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძესაც ამ კითხვით მივმართეთ: ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ „ლოკომოტივს" მომენტის შემქმნელები არ ჰყავდა და მეტოქის შეცდომების იმედად იყო...

გიორგი კიკნაძე: „ის ფეხბურთელები, რომლებსაც ხიფათის შექმნა შეუძლიათ — ალექსანდრე კაიდარაშვილი და ირაკლი სამხარაძე — არ გვყავდა..."

მწვრთნელის ნახსენებ მოთამაშეებს ტრავმები აქვთ, ამათ გარდა, ზვიად ჩხეტიანი დისკვალიფიცირებული იყო და ერთიც: გუშინ 34-ე წუთზე კიკნაძემ ლევან ჩაგელიშვილიც იძულებით შეცვალა — ფეხბურთელს ცხვირი გაუტყდა და თამაშის დამთავრების მერე რომ მოვიკითხეთ, ცხვირი უკვე თაბაშირში ჰქონდა ჩასმული.

ტრავმა-დისკვალიფიკაციები ვახსენეთ და ამერელებისაც ვთქვათ: ქვაჩახიას გარდა, განაპირა მცველი გიორგი ელბაქიძეც დასჯილი ჰყავდათ (მომდევნო მატჩში თამაში შეუძლია), ხოლო ვლადიმერ კაკაშვილს კუნთი დაეჭიმა და მეორე ტაიმის შუაში შესაცვლელი შეიქნა.

„ამერს" დისკვალიფიცირებული ჰყავდა მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძეც, რომელიც თამაშს თვალყურს ტრიბუნიდან ადევნებდა.

თამაშის მსვლელობისას „ამერმა" სქემაც შეცვალა, საყრდენი ნახევარმცველი გივი დიდავა მეორე ტაიმში ცენტრალურ მცველად ათამაშა...

გიორგი ჩიხრაძე: როცა დიდავა უკან დავწიეთ, იმ დროისთვის თამაშს ვიგებდით. მთლიანობაში კი... გოლიც გავიტანეთ, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ...

მომენტები კი „ამერს" ისეთი ჰქონდა, უკეთესს რას ინატრებდა: სილაგავა ფლანგიდან აწვდის, მეკარის ბაქანში გოცირიძე ურტყამს, ალავიძე იგერიებს, შალამბერიძე თავურით ამატებს, ბურთი ხარიხას ხვდება, გადმოვარდნილს საჯარიმოშივე შალამბერიძე აბრუნებს მაკრატელათი, დავითაშვილი ხვდება და ოდნავ აცილებს...

თუმცა მთლიანობაში „ამერის" თამაში სულაც არ იყო ისეთი, ფავორიტისგან რომ ელიან. რამდენიმე საპირველტაიმო კარგ იერიშს შესვენების მერე ამერელებმა ვერაფერი შემატეს, პირიქით, ბლომადაც შესცოდეს და, როგორც ვთქვით, ამ შეცდომების ხარჯზე „ლოკომოტივი" ქულასაც გამორჩა.

ის ამერული გოლი კი, დეკანოსიძემ პენალტით რომ შეაგდო, შალამბერიძის წაქცევისთვის დაინიშნა...

## გიო ახვლედიანის





## შაბათის ჩანაწერები

საქართველომ კვლავაც იმარჯვა სარაგბო თამაშში: ახლა ლისაბონში მოუგო პორტუგალიას პატარაანგარიშიან ბრძოლაში და თავისი სათამაშო სტაბილურობის სურათი კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა: წლეულს სამიდან სამი გამარჯვება.

ამ სვეტის წერა მიმოხილვასავით კი დავიწყე, მაგრამ, ეს ფიქრადაც არ მქონია, უბრალოდ, შაბათის კარგი ამბავი ეს იყო.

შაბათს კიდევ, რახან სარაგბო-ტელერეპორტაჟს თავი ვერ მოება ვერც ერთ ქართულ არხზე, ტრადიციულად, პრემიერლიგის დღე იყო და საღამოსპირიდან შუაღამემდე რუსულ და უკრაინულ არხებზე სულ ინგლისურ ფეხბურთს აჩვენებდნენ. იქ კი ისეთი ამბავია, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. „მეთოფე" ედუარდოს „ბირმინგემთან" თამაშის დასაწყისშივე ფეხი მოტეხა იქაურმა ტეილორმა. მთელ 7 წუთს ბიჭი გათიშული იწვა მინდორზე.

ასეთ დროს ვიტყვით, რომ ფეხბურთი ეგეთია: ეპიზოდიც სათამაშო იყო, ბურთზე საომარი.

ოღონდ, ეგ არის, რომ ბევრგან ფეხბურთელები ისეთი სათამაშო განწყობით გადიან მინდორზე, რომ ფეხი კი არა, კაცს რომ მთლად არ დაფშვნიან... ეს განწყობა ძალიან საგრძნობია ხოლმე ინგლისში.

საყრდენ ნახევარმცველთა მიერ დამკვიდრებული ორთაბრძოლების სტილი უკვე, ზოგადად, შუამოედანზე თამაშის სტილია და მთავარი შეჯახებებიც და ტრავმებიც საჯარიმოებამდე ხდება. აბა, ვის უნდა კაცის საჯარიმოსთან ჩაჩეხვა? პირდაპირ სკალპებს ხდიან ერთმანეთს.

ოღონდ, ძველი დროისგან განსხვავებით, ახლა უხეშობა პირდაპირი და ტყიური არ არის. ახლა ორთაბრძოლებია ხისტი. ძველად იყო ხოლმე უხეში მოთამაშე, რომელიც ხალხს პირდაპირ სარმებით ამტვრევდა, ახლა ასეთი მოთამაშე ხისტი ორთაბრძოლების ოსტატად გადაიქცა. იმიტომ, რომ ძველებურებს ეგრევე აგდებენ.

ამ ინგლისურამდე ჩვენი თამაშიც იყო ტელევიზორში, „ოლიმპმა" „დინამოს" აჯობა. ყოველთვის საინტერესოა ხოლმე ასეთი რამის წარმოდგენა: ვთქვათ, დაეჯახა რომელიმე ჩვენი გუნდი „არსენალს". რა უნდა დაუპირისპიროს? სწორედ რომ „არსენალს", რომელიც გამუდმებით უტევს. მგონი, ჩვენს ფეხბურთელებს უნდა ჰქონდეთ დღევანდელი ფეხბურთელისთვის აუცილებელი საშუალო სტანდარტული ინსტრუმენტების კრებული: სისწრაფით დაწყებული, ტაქტიკის აღქმით დამთავრებული. საშუალო, ჩვეულებრივი თვისებები... ამ სტანდარტული უნარებით უნდა ასრულებდნენ მწვრთნელის პირად და საერთოგუნდურ დავალებებს. უნდა შეეძლოთ, რომ თამაშში ჩავარდნილი სამი-ოთხი სახიფათო მომენტიდან ერთი მაინც იყოს საგოლე ან საპენალტე... თუმცა, მგონი ეს, ნამეტანია...

ყოველ შემთხვევაში, როცა „აშბარტონ გროუვზე" ითამაშებ, იმით უნდა იყო დაკავებული, რომ მასპინძელი როგორმე არ ათამაშო და მის ნერვებზე იმოქმედო. თუ ამის კეთება არ მოგბეზრდება და შენი სტანდარტული უნარებიც არ დაგიჩლუნგდება იმ სრულიად არასტანდარტული ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც ლამის ასი წუთის განმავლობაში გიტევენ, ეგებ იღბალიც დაგეხმაროს.

თავს ვერ დავდებ, რომ ფრეს მოიპოვებ, მაგრამ, თუ კონტრშეტევის ელემენტარულ წესებს და ერთგვარ სისწრაფეს ფლობ, ეგებ რაღაც გამოვიდეს.

ამას ვლაპარაკობდით შაბათ საღამოს მე და ჩემი მეგობარი, ცხადია, ქართული კლუბის საშემოდგომო თამაშებში მოხვედრაზე მეოცნებენი.

შეიძლება, სულ ტყუილად ღალვარიოფლი „არსენალის" წინააღმდეგ, მაგრამ ის მაინც შეიგრძნო, რომ ფეხბურთის თამაში იცი.

მათ წინააღმდეგ დიდი და პატარა ასე თამაშობს.

ისე კი, მაინც კარგი იქნებოდა, ტელევიზორში რაგბი რომ ყოფილიყო.

არ ვიცი, რა და როგორ იყო, მოლაპარაკება რომ ჩაიშალა, მაგრამ ჩვენ კი ავცდით ამ ტკბილ ამბავს.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 14 ტური

თბილისი. 23 თებერვალი. 14.10 საათი. ეროვნული. 1 500 მაყურებელი

## დინამო 1:2 ოლიმპი

0:1 დევდარიანი (54), 0:2 ომელიანოვი (60), 1:2 მერებაშვილი (88)

**დინამო:** ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დიღმელაშვილი, შ. გრიგალაშვილი (სპასოევიჩი 56), დ. ოდიკაძე, ხუციშვილი (ვაწაძე 80), გ. მერებაშვილი
*სათადარიგონი:* ლოსაბერიძე, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, გველესიანი
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**ოლიმპი:** მერლანი, სილაგაძე, ჭიჭველიშვილი, მახვილაძე, ჯოჯუა, მგელაძე, კახელიშვილი (სებისკვერაძე 82), სტეფანიშვილი (აფრიამაშვილი 85), გეწაძე, ომელიანოვი, დევდარიანი (გიორგი იაშვილი 88)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე, რეხვიაშვილი, ყრუაშვილი, აკუასაგა
**მწვრთნელი:** ანატოლი პისკოვეცი

**გაფრთხილება:** გრიგალაშვილი (40), კრშკო (75), კახელიშვილი (75), მგელაძე (78), სებისკვერაძე (87)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი; **დირექტორი:** ა. ბურჯალიანი



ალექსანდრ ომელიანოვმა (№18), ნიკა სტეფანიშვილმა (№8) და დავით დევდარიანმა (№10) „დინამო“ გააწამეს

# ოლიმპის ფეხი დინამოს მუხრუჭზე

## პისკოვეცმა საფიში სამეული გამოაჩინა

**კობა ინასარიძე**

**ეროვნული** ჩემპიონატი განახლდა და პირველი სენსაციის მაგვარიც ვნახეთ. ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ საჩემპიონოდ შემართული „დინამო“ ჩემპიონ, თუმცა ახალი ფეხბურთელებით შეკოწიწებულ რუსთავის „ოლიმპთან“ ქულებს გაანიავებდა და პირველობისთვის ბრძოლას მეორე წრის დასაწყისშივე კიდევ მეტ სიმწვავეს შემატებდა. რუსთაველი გუნდი კი წყვილში ფავორიტსა და მასპინძელს მაგრად დაუდგა და სწორედაც რომ დამსახურებულად აართვა სამი ქულა.

თითქმის სამთვიანი შესვენების მერე ჩატარებული პირველი თამაშის შემდეგ გუნდების შესაძლებლობებზე ლაპარაკი არ ივარგებს და ამიტომაც, ჯერ თავი შევიკავოთ პროგნოზებისგან. არავინ იცის, შაბათს წაგებული „დინამო“ თუ მასთან გამარჯვებული „ოლიმპი“ ჩემპიონატს როგორ გააგრძელებენ. მათი ავკარგიანობის შესაფასებლად დროს საკმაოდ არის.

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ ზოგი გუნდი დასაწყისშივე ყოჩაღობს და მერე უკლებს, ზოგ მწვრთნელსაც საჩემპიონატო მარათონის გავლა პირიქით აქვს დაგეგმილი და უხეირო სტარტის მერე ნელ-ნელა უმატებს ხოლმე.

რა და როგორ გააკეთეს დუშან უჰრინმა ანთალიაში და ანატოლი პისკოვეცმა ალუშტაში, ეს ნელნელა კიდევ უკეთ გამოჩნდება, თუმცა კი, დღესდღეობით „ოლიმპი“ რომ „დინამოზე“ უკეთ გამოიყურება, ეს გუშინწინდელი მატჩისას გამოჩნდა.

„დინამოს“ ჩემპიონთან შეხვედრისას ნაცადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა — დისკვალიფიცირებული მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი. ოვონოს არყოფნა თბილისელებს მაინცდამაინც არ დასტყობიათ, გაშვებულ გოლებში გიორგი ლორიას ვერავინ გაამტყუნებს, აი, აკირემის ტრიბუნაზე ყოფნა კი მასპინძელთა თამაშს მართლაც ეტყობოდა. „დინამოს“ შეტევაში სიმწვავე და სისწრაფე აკლდა.

აკირემის ნაცვლად, დუშან უჰრინმა ცენტრალურ თავდამსხმელად გამთამაშებელი მიხეილ ხუციშვილი დააყენა, ხოლო მოედნის შუაში „ბორჯომიდან“ უკან გამოხომობილი შოთა გრიგალაშვილი გაამწესა.

ოპტიმალური იყო თუ არა „ოლიმპის“ შემადგენლობა, ვერ გეტყვით. გუნდი ხომ ამ მოსამზადებლისას ლამის თავიდან გაკეთდა. პირველ წრეში ვინც სტაბილურად თამაშობდა, ისინი ახლაც ძირითადში იყვნენ, ხოლო ახალწვეულები... ერთ-ერთმა ახალწვეულმა, ნიკა სტეფანიშვილმა, როგორც იტყვიან, თამაში მარტომ მოიგო. „ოლიმპის“ იმდღევანდელი ჯოკერი დავით დევდარიანთან ერთად, სწორედ სტეფანიშვილი იყო, ვინც რუსთაველებმა საჩხერის „ჩიხურადან“ გადაიბირეს.

სტეფანიშვილის მახვილგონივრულ, მწვავე პასებს და დევდარიანის ეფექტურ დრიბლინგებს ვერაფერი მოუხერხეს დინამოელებმა.

„ოლიმპი“ მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან უტევდა და მეორე გოლიც სწორედ იქიდან წამოწყებულ შეტევას მოჰყვა. სტეფანიშვილის დიაგონალური და უზუსტესი პასი გიორგი კახელიშვილმა მიიღო და საჯარიმოში შეიჭრა. მერე კი ბურთი დევდარიანს დარჩა, ვინც რამდენიმე მცველი მიმოფანტა და გადამწყვეტ მომენტში დარტყმა უკრაინელ ლეგიონერ ალექსანდრ ომელიანოვს დაუთმო, რომელიც ლეგიონერმა უნაკლოდ შეასრულა.

ეს ამბავი მატჩის განახლებიდან 15 წუთში მოხდა, თუმცა „ოლიმპი“ უფრო ადრე დაწინაურდა. რუსთაველთა იმ შეტევისას მთავარი ისევ სტეფანიშვილი იყო, რომელიც მარცხნიდან შექანდა „დინამოს“ კართან, გზად მცველები ჩამოიშორა და პირითი ხაზიდან ზედ კარის წინ დევდარიანს დაუგორა, მას კი გატანა აღარ გასჭირვებია.

სათქმელია, რომ დავით დევდარიანს ავადმყოფობის გამო მთელი მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა და გუნდს ჩემპიონატის განახლებამდე ორი კვირით ადრე დაუბრუნდა.

„ოლიმპმა“ ორბურთიანი უპირატესობა რომ მიიღო, მერე, ცხადია, დაცვაში ჩაჯდა, თუმცა კი რამდენჯერმე ისეთი მწვავე და გონივრული კონტრშეტევა წამოიწყო, „დინამო“ მესამე გოლს ბედად გადაურჩა.

თბილისელებმა მხოლოდ ერთის გაქვითვა მოახერხეს. მარჯვენა ფლანგზე შეცვლაზე შესული ორი ფეხბურთელის — არჩილ სებისკვერაძისა და მათე ვაწაძის — ორთაბრძოლა დინამოელმა მოიგო და ბურთი გიორგი მერებაშვილს დაუგორა, რომლის დარტყმულიც მირზა მერლანისთვის აუღებელი გამოდგა...

სამაგიეროდ, მერლანმა პირველ ტაიმში ისე იყოჩაღა, ბევრი მეკარე ვერ მოახერხებდა. მილოშ კრშკომ კარიდან დაახლოებით ათ მეტრში ბურთს ფეხი ჰაერში შეაგება და საშინელი ძალით დაარტყა, სტუმართა მეკარემ კი ბურთი სასწაულებრივად კუთხურზე გადააგდო.

„დინამოს“ შესვენებამდე საგოლედ ერთი-ორი სხვა კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

გოლამდე არც ომელიანოვს გამოსდიოდა რამე, რომელსაც ისევ და ისევ სტეფანიშვილმა და დევდარიანმა რამდენჯერმე მისცეს საგოლედ ჩინებული პასები, მაგრამ...



გიორგი მერებაშვილი ოლიმპელთა გარემოცვაში

სარბიელელ ნუკრი ნიქარიძეს ვულოცავთ შვილიშვილის საბას დაბადებას!
ჯანმრთელი, ბედნიერი და ღირსეული ვაჟკაცი გაზრდილიყოს!
*სარბიელელები*

სარბიელელ გიორგი კაკაბაძეს და ეთო ახობაძეს ვულოცავთ ვაჟის ნიკოლოზის დაბადებას!
ჯანმრთელი, ბედნიერი და ღირსეული ვაჟკაცი გაზრდილიყოს!
*სარბიელელები*

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 14 ტური



## აი, მესამე ხმაც მოვედი

ილია ნანობაშვილი მცხეთიდან

**მეტი** საჩუქარი რაღა უნდა გაეკეთებინა „ოლიმპს“ „ზესტაფონისთვის“ — წინა დღეს „დინამოს“ მოუგო და ფეროელებს გალიდერებისკენ აუნთო მწვანე, მაგრამ სათქმელად ადვილია, საქმედ კი, აბა, დაფიქრდით, როგორია, „ვიტ ჯორჯიას“ მისსავე სტადიონზე სძლიო, თან შესუსტებული შემადგენლობით.

გიორგი ჭელიძე, გოგი ფიფია, პოლ კესანი, ნიკა გელაშვილი და ვიეირა სხვადასხვა მიზეზით დააკლდნენ ფეროელებს, დიდი შანსია, ამ ხუთიდან სამმა მეორე წრეში ვერც ითამაშოს „ზესტაფონში“, ჰოდა, იმერლები უნდა შეეჩვივნონ ქამრის მოჭერას, რა შემადგენლობაც ჰყავთ, იმით უნდა გავიდნენ ფონს.

ახლა კი ლიდერთა ჯგუფში მაგრად დაიძაბა სიტუაცია: „ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო რბოლაში თამამად ჩაერთო — „ზესტაფონის“ მსგავსად, ორ ქულასღა აგებს „დინამოსთან“, მოკლედ, მესამე ხმაც მოვიდა...

...პირველი ხიფათი მე-3 წუთზევე შეიქმნა, როცა სევასტი თოდუას დარტყმული ვიტელთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილს ხელიდან გაუვარდა და მისდა ბედად, ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუარა კარს. ბედიაშვილი რომ მოისუსტებდა, მეორე ტაიმის შუაშიც გამოჩნდა, როცა ალექსი ბენაშვილმა ჯარიმა დაარტყა, ბურთმა ნელა იარა და, ძელს მოხვდა და მეორე ძელისკენ გაგორდა, ბედიაშვილი კი ვითარებაში ვერ გაერკვა — აქაც გადარჩნენ ვიტელები, მაგრამ ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს „ზესტაფონი“ სჯობდა თამაშით — პირიქით.

ბრძოლა და ტემპი შესვენებამდე არ განელებულა, თუმც ისიც ჩანდა, რომ გუნდები ფრთხილობდნენ, მასიურ შეტევებს ერიდებოდნენ. და ასეთ თანაბარ თამაშში „ვიტ ჯორჯიას“ ათწუთეული დადგა: 31-ე წუთზე გიორგი მელქაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთმა ყველას გადაუარა და შორეულ ძელთან მდგომმა გიგა ბეჭვაიამაც ორი მეტრიდან თავით შეაგდო კარში — 1:0; 41-ეზე კი მელქაძეს პასი არ დასჭირვებია, საჯარიმოს მისადგომებიდან ჩახვეული დარტყმით ჩასვა ბურთი ჭანტურიას კარში. ულამაზესი გოლი იყო — 2:0.

აკი თქვა ნამატჩევს „ზესტაფონის“ თავკაცმა თემურ მახარაძემ, ორ გოლს რომ არაფრისგან გაუშვებ „ვიტ ჯორჯიასთან“, მერე ძნელია ამოქაჩვაო. აი, „არაფრისგან გოლი“ კი ცოტა ნამეტანი იყო, მით უმეტეს, მეორე გატანილისას — მელქაძემ რაც გააკეთა, იმას შესრულება უნდოდა.

ისე, გაცილებით დაიძაბებოდა მეორე ტაიმი, ზედ შესვენების წინ ფეროელებს რომ გაეტანათ: ზურაბ იონანიძე კუთხურიდან კარში აზვევდა, ბედიაშვილმა ძლივს გამოაგდო ბურთი კარიდან და დამატებაზე გიორგი ხიდეშელმა ვერ ივარგა, თავით ააცილა.

მეორე ნახევარში „ზესტაფონმა“ აგრესიას უმატა, მაგრამ ალექსანდრე კვახაძეს და დავით ლომაიას მეთაურობით, ვიტელთა დაცვა მაგრად იდგა. მოედნის ცენტრშიც არაფერს თმობდნენ მასპინძლები, მოულოდნელი გიორგი დათუნაიშვილი ართმევაზე კარგი იყო, მელქაძეც უნარიანად ანაწილებდა პასებს, შეტევაში კი მანამდე აქტიურ და მებრძოლ ვასილ ლუჭაშვილს ფლანგიდან ზაზა სახოკიამაც აუბა მხარი. მიჯრით ორი საგოლე შანსი შეექმნათ ვიტელებს, მაგრამ... ჯერ დათუნაიშვილმა მოჰპარა ბურთი თოდუას, პირისპირ გავიდა ჭანტურიასთან, მაგრამ მეკარემ იმარჯვა, დამატებაზე კი სახოკიამ კარს ააცილა. ცოტა ხანში უკვე სახოკია შეიჭრა თითქმის ერთი-ერთზე, მაგრამ ბოლო მომენტში სისწრაფე შეანელა და ფეროელებმა დარტყმა არ აცალეს.

რაც დრო გადიოდა, „ზესტაფონი“ უფრო ჩქარობდა, ამიტომაც შეცდომებსაც უმატეს. ეგაა, ბექა გოცირიძე გააქტიურდა ნამეტნავად, თანაგუნდელებიც მეტწილად მას ასაქმებდნენ და 19 წლის ფორვარდმაც რამდენიმე კარგი სლალომით სცადა ვიტელთა აფორიაქება. გამოუვიდა კიდეც, მაგრამ ვერ აჰყვნენ. მხოლოდ ბოლოს, მსაჯის დამატებულ წუთებზე აჰყვა ეტიენ ბიტოო. გოცირიძემ საჯარიმოს მისადგომებიდან დაფარული პასი მისცა გაბონელს, მანაც ბედიაშვილი მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი — 2:1. თამაშიც აქ მორჩა.

ერთიც: მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი ესწრებოდნენ. ტრიბუნაზე იჯდა „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაიაც...



გიორგი მელქაძის გოლი

მცხეთა. 24 თებერვალი. 14 საათი. არმაზი. 1 500 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 2:1 ზესტაფონი

1:0 ბეჭვაია (31), 2:0 მელქაძე (41), 2:1 ბიტოო (90)

| ვიტ ჯორჯია | ზესტაფონი |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ყველაშვილი 90), ლუჭაშვილი (ცხადაძე 73), სახოკია (კვალინიძე 84) *სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, ინჯგია, ლიპარტია, ბერიაშვილი* მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ზესტაფონი: ჭანტურია, ლობჟანიძე, შ. ღონღაძე (ბიტოო 80), ს. თოდუა, საჯაია, ბენაშვილი, ხიდეშელი (დაუშვილი 67), რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე (ჟონატასი 42), ბ. გოცირიძე, იონანიძე. *სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; გორგიაშვილი, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი* მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ბეჭვაია (36), რაზმაძე (69), დაუშვილი (76)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* რთული მატჩი იყო, „ვიტ ჯორჯიამ“ გვაჯობა. საკადრო პრობლემები გვქონდა, ამას დაემატა არაფრისგან ორი გოლი და ამ ყველაფერმა ერთად იმოქმედა. რაც შეეხება ვიეირას წასვლა-არწასვლას, ეს ჯერ არ გადაწყვეტილა. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია დღეს ჩამოვიდა და ვნახოთ...

*ნესტორ მუმლაძე:* ვიცოდით, რა ძლიერ მეტოქესთან გვიწევდა თამაში და მაქსიმალურად კონცენტრირებულნი ვიყავით. კარგი მატჩი გამოვიდა და კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ.

## ტრადიციული და იშვიათი

### ბორჯომი კამერუნმა ცამეტამდე შეავსო

თბილისი. 24 თებერვალი. 14 საათი. მერანი. 300 მაყურებელი

### მერანი 1:0 ბორჯომი

1:0 შენგელია (34)

| მერანი | ბორჯომი |
|---|---|
| მერანი: თევდორაძე, გ. ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, ქემაშვილი, ქოქიაშვილი (ბ. ჟლენტი 58), მ. კობერიძე (ფურთუხია 75), ბაკურაძე, ჯანგიძე, ა. კალაძე, ი. შენგელია *სათადარიგონი: გლუნჩაძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე* მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი | ბორჯომი: გრიშიკაშვილი, დ. გოგიჩაიშვილი, კაკუბავა, ქარქუზაშვილი, გუგავა, ქავთარაძე, ჩირიკაშვილი, ჯიუსი (ნასყიდაშვილი 80), ჯიქიძე, თედიაშვილი, დევიძე *სათადარიგო: ლომიძე* მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: კაკუბავა (20), ლოლაძე (20), კალაძე (45), ქავთარაძე (47), ქარქუზაშვილი (58), გრიგალაშვილი (62) კალაძე (70)

გაძევება: კალაძე (70)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ი. ურუშაძე

დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დირექტორი: დ. გვარამაძე

ნუკრი ლოლაძე

**იშვიათობაა,** როცა „მერანის“ სტადიონზე 50 გულშემატკივარზე მეტი მიდის და ასეთი დღე იყო გუშინ. თუმც 300-მდე ქომაგმა ლოლიალა ფეხბურთს უყურა და მაინცდამაინც უკეთესს არც ველოდით...

„ბორჯომს“ განაცხადში 13 ფეხბურთელი ჰყავდა, ეგ კი არა, თბილისის „დინამოდან“ ნათხოვარმა კამერუნელმა ჯიუსმა თამაშის დაწყებას სულზე მოუსწრო.

მატჩს „კოლხიდას“ ოპერატორები იღებდნენ და ერთსაც მოგახსენებთ — „მერანის“ მეკარე რევაზ თევდორაძეს, ტრადიციულად, ეროვნული ნაკრების მაისურა ეცვა, მის ბორჯომელ კოლეგა სოსო გრიშიკაშვილს კი თბილისის „დინამოსი“.

კარგი მიმოხილვები უნდა გაკეთდეს და მეზობელ ქვეყნებში უნდა გაიყიდოს ეს პროდუქციაო, ამბობენ და ამის მნახველს როგორი შთაბეჭდილება შეექმნება ჩვენს ჩემპიონატზე, ხომ წარმოგიდგენიათ.

მატჩის დამკვირვებელმა ელგუჯა სილაგავამ პირველი ნახევრის შემდეგ მეოთხე მსაჯს დაავალა, „უცხო ლოგოები“ ლეიკოპლასტირით მაინც გადაფარეთო და, მეკარეებიც მეორე ტაიმში ლოგოდამალულნი გამოვიდნენ.

მწირმომენტიან მატჩში პირველი აღსანიშნი მე-18 წუთზე მოხდა — ლაშა ჯანგიძემ მარჯვენა ფრთაზე ლევან ბაკურაძე მოძებნა, მან საჯარიმოში შეაგდო ბურთი, სადაც დავით ქოქიაშვილი იყო, თუმც მას გრიშიკაშვილმა არ გაატანინა.

ამის შემდეგ გოლამდე უნიათო ბურთაობა გაგრძელდა, გოლი კი ირაკლი შენგელიამ დავით გოგიჩაიშვილის უხეში შეცდომის შემდეგ გაიტანა, პირისპირ გასულმა გრიშიკაშვილს შანსი არ დაუტოვა.

თამაში არც მეორე ნახევარში შეცვლილა. „ბორჯომში“ კი, თუ ვინმეს გამოარჩევდით, ეს ირაკლი ჩირიკაშვილი იყო.

70-ე წუთზე უწყინარ სიტუაციაში მეორე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო ანზორ კალაძემ და „მერანი“ კაცნაკლული დარჩა, თუმცა იმდენად უსუსური იყო „ბორჯომი“, გულს შემოგვეყრებოდათ...

და ერთიც, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილმა მეკარემ დავით გვარამაძემ ფეხბურთელის კარიერა კი დაასრულა, თუმც ისევ ქართული ფეხბურთში რჩება: ამ მატჩის დირექტორი სწორედ გვარამაძე იყო.

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა II წრე. 14 ტური

ბათუმი. 23 თებერვალი. 14 საათი. ადელი. 200 მაყურებელი

### ბათუმი 0:0 დილა

| | |
|---|---|
| ბათუმი: სტურუა, ვ. კუნჭულია, გალოგრე, მაკარიანი, თედორაძე, გ. თურმანიძე, ცანავა (დემურაძე 66; ა. ბაჯელიძე 69), ბეჟანიძე, ქებაძე, კაკალაძე (ტულუში 65), ზ. ქუთათელაძე | დილა: თ. ილურიძე, ტლაშაძე, ბერიანიძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ბალაშვილი, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი (ვარდოსანიძე 91), ჩიტაია (საყვარელიძე 59), შატაკიშვილი, გ. მიქაძე |
| *სათადარიგონი:* ლ. მახარაძე, ბ. მახარაძე, კაკაბაძე, თოთლაძე | *სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, ლომიძე, ბალიაშვილი, იჩქითი, გ. წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია | მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

გაფრთხილება: მიქაძე (60), ტლაშაძე (75)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზვ. ერქვანია, პ. დოგრაშვილი

# საბედნიეროდ!
## ბათუმი საშინელ ტრაგედიას გადაურჩა

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**სატურნირო** ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდების დაპირისპირება საინტერესო იყო. „ბათუმს“ და „დილას“ ქულები ჰაერივით სჭირდებათ — ორივე გუნდი პირველ ლიგაში გავარდნის კანდიდატია და ამ ფრემ გორელებს უფრო გაუმართა ხელი.

მატჩი სწრაფი გოლით დაიწყო — გორელებმა პირველივე წუთზე აიღეს ზვიად სტურუას კარი. ბექა ნოზაძემ ბურთი მარცხენა ფლანგიდან ჩაჰკიდა, გიორგი მიქაძემ მიმართულება შეუცვალა და... თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მორიგი შეტევა ბათუმელებმა განახორციელეს — თურმანიძე-ცანავა-ქუთათელაძის კომბინაცია უშედეგოდ დასრულდა.

მე-15 წუთზე კი სტუმრების შეტევა დავით გალოგრემ კინაღამ ავტოგოლით დააგვირგვინა — ბათუმელთა ტანმაღალ მცველს ბურთი აეჭრა და სანტიმეტრებით ააცილა კარს.

მერე გორელები გააქტიურდნენ და 15 წუთის განმავლობაში უტევდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ერთხელ შექმნეს — ქრისტეფორე შატაკიშვილმა შორიდან დაარტყა და ოდნავ გადააცილა ხარიხას.

ამის შემდეგ კი უპირატესობა უკვე ბათუმელებს ჰქონდათ. ვასილ კუნჭულიამ მოედნის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, ზვიად ქუთათელაძემ თავით ლაშა ქებაძეს დაუგდო, ამან კი შეუჩერებლად დაარტყა და კარს ააცილა.

ტაიმის ბოლოს გენო ბეჟანიძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში, ირაკლი ცანავამაც შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ტაიმი სტუმართა აქტიურობით დაიწყო, პარტნიორებმა ნოზაძე გაიყვანეს სტურუასთან პირისპირ, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. კონტრშეტევაზე კი თურმანიძემ 20-25 მეტრიდან დაარტყა და ოდნავ გადააცილა კარს.

დროის გასვლასთან ერთად უხეშობამაც იმატა.

66-ე წუთზე ცანავას ნაცვლად ბესიკ დემურაძე შევიდა მოედანზე და ეს ცვლილება კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა — სულ რაღაც ერთ წუთში მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში დემურაძე მეტოქეს შეეჯახა და... უგონოდ დავარდა.

ათი წუთის განმავლობაში ორივე გუნდის ექიმები თუ ფეხბურთელები ცდილობდნენ მის მოსულიერებას... მართლაც შემზარავი სურათი იყო...

როგორც იქნა, დემურაძე გონს მოვიდა და მაყურებლებმა ტაშით გააცილეს მოედნიდან. ექიმებმა მას ტვინის შერყევა დაუდგინეს.

მატჩის დარჩენილი დრო კი უინტერესოდ ჩამთავრდა — ჩანს, ეს ეპიზოდი ორივე გუნდის ფეხბურთელებისთვის დიდი სტრესი იყო.

# ზუგდიდური თოვლი ისევ გაჯიუტდა
## პროფლიგა მარტს დაესესხა

**დიდთოვლობამ** საქართველოს ჩემპიონატის განახლებაში კიდევ ერთი კორექტივი შეიტანა.

მეორე წრის პირველი ტურის ორი მატჩი, „მგლები“ — „მესხეთი“ და „სპარტაკი“ — „სიონი“ 23 თებერვლიდან 26 თებერვლისთვის გადაიდო. თუმცა აღმოჩნდა, რომ ზუგდიდში სათამაშო პირობებისთვის სტადიონი მზად არც ხვალისთვის იქნება, ამიტომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ზუგდიდური მატჩი 11 მარტისთვის გადადო.

რაც შეეხება „სპარტაკი“ — „სიონს“, ხვალ გორში „ქართლის“ სტადიონზე გაიმართება და 14 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გორი. 26 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

### სპარტაკი — სიონი

მსაჯები: ო. ხეცაძე, ლ. თოდრია, ო. მოლოდინაშვილი, ლ. სილაგავა

# გელაშვილს ამ სეზონის ეიმედება

**გუშინ** მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონის“ მატჩისას ტრიბუნაზე ნიკოლოზ გელაშვილიც იჯდა, რომელიც თავისი ყოფილი და ახლანდელი გუნდების მატჩს ადევნებდა თვალს.



გეხსომებათ, წრეებს შორის შესვენებისას გელაშვილი თბილისური გუნდიდან იმერულში გადავიდა და თურქულ შეკრებაზე მძიმე ტრავმა მიიღო — ლავიწის ძვალი გაიტეხა.

ექიმების თავდაპირველი ვარაუდით, გელაშვილს სეზონი გაუცდებოდა, თუმცა სარეაბილიტაციო კურსი გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს.

„ორ კვირაში ძუნძულს დავიწყებ, ერთ თვეში კი ალბათ ვარჯიშიც შემეძლება. როდის ვითამაშებ, უცნობია, თუმცა იმედი მაქვს, ეს ამ სეზონში მოხდება“ — გვითხრა გელაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფიფია და ვიეირა კოკაიას ელიან

**მეორე** წრის პირველი მატჩისთვის „ზესტაფონის“ ძირითად შემადგენლობაში სამი ფეხბურთელი არ ჩანდა — გოგი ფიფია, გიორგი ჭელიძე და ბრაზილიელი ვიეირა. მათგან ფიფია „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩს დაესწრო.

„ჯერჯერობით გაურკვევლობაში ვარ. თითქოს „ბათუმში“ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ახლა კლუბის პრეზიდენტთან ვაპირებ შეხვედრას და ამის შემდეგ ყველაფერი გადაწყდება“ — გვითხრა ფიფიამ.

თუ ფიფია მცხეთურ მატჩს დაესწრო, ვიეირამ წინა დღით „დინამო“ — „ოლიმპს“ „ეროვნულზე“ უყურა. ბრაზილიელი ამჟამად „ზესტაფონთან“ ერთად არ არის. რუსული მედიის ცნობით, ვლადივოსტოკის „ლუჩ-ერენგიაში“ უნდა ჩასულიყო გასინჯვაზე, თუმც ბრაზილიელი ჯერაც თბილისშია.

„ვიეირას შესახებ ვერაფერს გეტყვით, მის საკითხს პრეზიდენტი გადაწყვეტს“ — გვითხრა გუშინ ზესტაფონელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბოლქვაძე იქით, ლომაშვილი აქეთ

**პირველი** აზერბაიჯანული გოლი გაიტანა ზამთრის შესვენებისას „ამერიდან“ ზაქათალის „სიმურგში“ გადასულმა დავით ბოლქვაძემ.

„სიმურგმა“ შინ 3:1 მოუგო აბნ-ს, ბოლქვაძემ კი გუნდის მეორე გოლი პენალტით გაიტანა.

ამ ტურში გოლი კიდევ ერთმა ქართველმა, ვაჟა ლომაშვილმა შეაგდო, ოღონდ საკუთარ კარში. ლომაშვილის და ბორის გონჩაროვის „მასალი“ ჩემპიონ „ხაზართან“ სტუმრად 1:4 დამარცხდა.

საგოლე პასით გამოირჩა გიორგი ადამია. მისმა „ნეფთჩიმ“ შინ 2:0 მოუგო „გენჩლერბირლიგის“ — ადამიამ სუბაშიჩს გაატანინა.

ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია კახა ცხადაძის „სტანდარდმა“ — შინ 1:2 „ინტერთან“.

„უხეშ შეცდომებს ვუშვებთ. მომენტებს ვქმნით, მაგრამ ვერ ვიყენებთ. სრულიად ახალი გუნდი ვართ და სამუშაო ჯერაც ბევრია“ — განაცხადა ნამატჩევს ცხადაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უკრაინული ქართველობა და ისევ სანდრო კობახიძე

**ზედიზედ** მეორე მატჩია, სანდრო კობახიძეს გოლი გააქვს. დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ახალწვეულმა ამჯერად ავსტრიული „ზალცბურგის“ სარეზერვო გუნდს გაუტანა.

თუ პირველი გოლისას კობახიძემ გუნდს გაამარჯვებინა, ამჯერად „დნიპრო“ ფრეს გამორჩა, თუმც მოგებაც შეეძლო, მეკარესთან პირისპირ გასულ კობახიძეს მეორე რომ გაეტანა.

ოლეგ პროტასოვმა ამ მატჩში ჯაბა კანკავას დასვენების უფლება მისცა, სამაგიეროდ, იმავე დღეს დონეცკის „მეტალურგთან“ (2:0) 67 წუთი ათამაშა. ამავე მატჩში პროტასოვმა კობახიძე 15 წუთით დატვირთა.

კიდევ ერთი საგოლე პასით გამოირჩა კახა ალადაშვილი, რომლის „ხარკოვი“ ლაშა ჭელიძის ყიზილორდის „ქაისარს“ შეხვდა. ალადაშვილმა ამჯერად ბატისტას უპასა საგოლედ და ეგებ, მეტიც გაეკეთებინა, ხელჩართული ჩხუბის გამო თამაში 1:1-ზე რომ არ შეწყვეტილიყო.

ლაშა ჯაკობიას „ვორსკლამ“ კი შეკრების ბოლო მატჩი სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ 0:1 წააგო.

ჩვენებურს ამ შეხვედრაში უნდა ეთამაშა, მაგრამ მატჩისწინა მოთელვისას დაშავდა — რა სახის ტრავმა მიიღო ჯაკობიამ, ჯერჯერობით უცნობია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ელიავა სკონტოს დაშორდა



**რიგის** „სკონტო“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან ვლადიმერ დვალიშვილიც იახლა, რომელსაც კიდევ ერთხელ დააკვირდებიან და საბოლოოდ გადაწყვეტენ მისი დატოვების საკითხს.

სამაგიეროდ, გუნდს არ გაჰყოლია საქართველოს ნაკრების მცველი ზაალ ელიავა. მას კლუბის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი და რიგელებიც მიზეზად სწორედ ამ ფაქტს ასახელებენ.

კიდევ ერთი ჩვენებური დავით გამეზარდაშვილი კი გუნდთან ერთად არის და ახალი სეზონისთვის ემზადება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

QUARTZITE

ევროპის ერთა თასი

## პორტუგალია 6:11 საქართველო

23 თებერვალი. ლისაბონი. 19 საათი

**პორტუგალია:** კაბრალი, აგილარი, დევ. მატეუში, დიო. მატეუში, ფორუ; კ. პინტუ, კედუში; ჟირო, ჟ. უვე, დუარტე, სევერინო, კუნია, მურე, კორეა (კაპ), აგიარი

*შეცვლაზე შევიდნენ:* ესტევეში, მაგელიანეში, პედია, დუარტე

2 ს: კაბრალი

**საქართველო:** ბარკალაია, შკინინი, კაჭარავა, გიგაური, ჩხიკვაძე; მალაღურაძე, აბუსერიძე (კაპ); ბასილაია, ურუშაძე, ჩხაიძე, უჩავა, დათუნაშვილი, ქუბრიაშვილი, ნატრიაშვილი, შველიძე

*შეცვლაზე შევიდნენ:* ფეიქრიშვილი, დადუნაშვილი, სამხარაძე, ს. მაისურაძე;

*სათადარიგონი:* თოდუა, ყიასაშვილი, ნემსაძე

1 ლ: ჩხიკვაძე; 1 ს: ბარკალაია; 1 ა: მალაღურაძე

# ურაგანი რუსებთანაც გვინდა

**ტიმ ლეინის** დამოძღვრილმა „ლელოებმა“ ერთა თასზე ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს, ოღონდ: პორტუგალიასთან (31:3) და რუმინეთთან (22:7) პირველი ორი შინაური გამარჯვება ჩვენებურებმა დამაჯერებლად კი მოიპოვეს, მაგრამ პორტუგალიასთან საპასუხო ვიზიტისას გვარიანად გაუჭირდათ.

„ლობუშთა“ დამრიგებელმა ოქტავიო მორაეშმა სამი კვირის წინ თბილისში დამარცხებული თავისი გუნდი შესამჩნევად გადაახალისა, განსაკუთრებით უკანა ხაზში. კაპიტნად კვლავ ჟოაუ კორეია დააყენა და ყოფილ კაპიტან ჟოაუ უვასაც უხმო.

ტიმ ლეინმა კი კვლავაც პორტუგალიასთან და რუმინეთთან ნაცადი შემადგენლობა დარაზმა. შინაური გამარჯვებების შემდეგ „ლელოთა“ ავსტრალიელი მწვრთნელი ოდნავ უკმაყოფილო ჩანდა გარემარბთა თამაშით და საინტერესოა, ლისაბონური მატჩის შემდეგ რა აზრი ჩამოუყალიბდა. დაცვაში უმოწყალო ბოჭვებით ცნობილი ირაკლი ჩხიკვაძე თბილისში შეტევაში მთლად თამამი ვერ ჩანდა, ლისაბონში კი „ქარიშხალამ“ ერთადერთი ლელო გაიტანა და ნაკრებში თავისი ლელოების ანგარიშიც ასე გახსნა.

თავად მატჩი უამინდობის გამო მწირექულიანი გამოდგა. იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა, რომელიმე ქართულ ტელეარხს პირდაპირი რეპორტაჟი შემოეთავაზებინა ქართველთა სპორტული (და არა სარაგბო) გამარჯვებებით არცთუ განებივრებული გულშემატკივრებისთვის. ჩანაწერის გადმოცემაც არ იქნებოდა ურიგო რომელიმე ლათინური სერიალისგან თავისუფალ საეთერო საათში, მაგრამ ქართული რაგბის ქომაგს ტელეფონით და გულშემატკივართა ფორუმებით მოუხდა წყურვილის დაკმაყოფილება. დაახლოებით იგივე შეგრძნებაა, ძვირფას ბროლის ჭურჭელს ბნელ ოთახში ეძებდე ხელში მბჟუტავი სანთლით.

თამაშში კი: ქართველებმა გახსნეს ანგარიში ჩხიკვაძის ლელოთი და 5:0 დაწინაურდნენ — მეტოქის ლელოსთან მოგებული აუტის შემდეგ ქართველთა შერკინებამ სცადა დამცველთა კედლის შეგლეჯა, რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ აბუსერიძემ ბურთი ხაზში გამოიტანა, მალაღურაძემ მოკლე ფრთაზე ცრუ მანევრით გააქანა „ქარიშხალა“ და მანაც ლამაზი ლელოთი დააწინაურა საქართველო. პორტუგალიელებმა მათ ტაიმის ბოლოსლა უპასუხეს კაბრალის საჯარიმოთი და სხვაობა ორ ქულამდე შეამცრიეს. პირველი ტაიმიც 5:3 დამთავრდა.

მეორე ნეხვარი „ლელოთა“ კაპიტნის ირაკლი აბუსერიძის გასინბინებით დაიწყო, მაგრამ პორტუგალიელებმა რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლეს და დაწინაურება ვერ შეძლეს. პირიქით, რუმინეთთან მატჩის შემდეგ ძირითად 15-ეულში ფეხმოკიდებულმა მალაღურაძემ „რუმინული“ გაიმეორა, 66-ე წუთზე არეკნი გაიტანა და ამას ბარკალაიამ აბუსერიძის მოედანზე დაბრუნების შემდეგ საჯარიმო მიაყოლა — 11:3. დარჩენილ ათ წუთში მასპინძლებმა კაბრალის მეორე საჯარიმოლა შეირგეს და 6:11 დამარცხდნენ.

ახლა ტიმ ლეინის გუნდს შვიდ თამაშში ექვსი მოგება აქვს და სარაგბო ევროპის მეორე ექვსეულში პირველ ადგილს ინარჩუნებს. „ლელოებს“ სამი თამაში და სამი გამარჯვება აშორებთ ერთა თასამდე, რომელშიც ახლა მხოლოდ რუსეთი თუ შეგვეცილება. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს — რომელთაც, შეგახსენებთ, ჩვენი ძველი ნაცნობი კლოდ სორელი წვრთნის — 2007-08 წლების ერთა თასის 10 თამაშიდან ჯერ მხოლოდ ხუთი აქვთ მოლეული და ჩვენსავით მხოლოდ ერთი მარცხი უმძიმებთ ცხრილს (ჩვენთან შარშანდელი მარცხი). გადამწყვეტი იქნება „ლელოებსა“ და რუსებს შორის 12 აპრილს კრასნოიარსკში დათქმული ჯახი, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის რიგით 101-ე იქნება.

**ირაკლი ფირაშვილი**

23 თებერთვალი

ესპანეთი 11:17 რუმინეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 0 | 3 | +62 | 8 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 0 | 4 | +17 | 6 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 0 | 3 | +8 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |



ბაჩო კორინთელის ფოტო

# ქართული რაგბის ახალი თავი

## გია ნიჟარაძე წარსულიდან მოდის

**საქართველოს** რაგბის კავშირს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ოთხი წლის ვადით ქართული რაგბი 41 დელეგატმა ერთხმად გია ნიჟარაძეს ჩააბარა, ვისაც აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, მერაბ ანთაძის დროს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

ის, რომ გია ნიჟარაძე ვიცეობიდან პრეზიდენტობამდე დაწინაურდებოდა, თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო, რაკი გია ნიჟარაძე უალტერნატივო კანდიდატურა გახლდათ. პრეზიდენტობის ზეპირი სურვილი ვეტერანმა მორაგბემ ნოდარ ლიპარტელიანმა, თბილისის „ყოჩების“ ყოფილმა მორაგბემ კახა მხეიძემ და ბიძინა გეგიძის პრეზიდენტობის დროს, მაშინდელმა გენ-მდივანმა მიხეილ ბურძგლამ გამოთქვეს, თუმც მერე გადაიფიქრეს — კავშირის ოფისში განაცხადი აღარ შეუტანიათ. ბურძგლას განაცხადის შეტანა, სულაც დააგვიანდა. თუ გამგეობის წევრებიც დაეთანხმებოდნენ, ბურძგლა კანდიდატურის წამოყენებას გუშინდელ ყრილობაზევე აპირებდა, თუმცა გუშინ ყრილობაზე საერთოდ არ გამოჩენილა. ასე რომ, გია ნიჟარაძე ერთადერთი უალტერნატივო კანდიდატურა იყო. ხანგრძლივი მოხსენების შემდეგ 41 ხმის უფლების მქონე დელეგატმა ახალი პრეზიდენტი ერთხმად და უხმაუროდ აირჩია.

„მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ჩემამდე ხელმძღვანელობდნენ ქართულ რაგბის. მადლობა დავით კილასონიას, სულმნათ ნუგზარ ენდელაძეს, მურმან ომანიძეს, მერაბ ანთაძეს, განსაკუთრებით კი ბიძინა გეგიძეს, რომელმაც უმძიმეს ვითარებაში შეძლო და თავის გუნდთან ერთად ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთა ქართული რაგბისთვის. თანაც არ დაგვავიწყდეს რა რთულ პერიოდში მოუწია მას ამ მისიის შესრულება. სწორედ ბიძინა გეგიძემ, პირველმა გაჭრა ევროპაში ფანჯარა და ამით ნაკრების წარმატებას ჩაუყარა საფუძველი“ — განაცხადა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, მერე კი თავის საპრეზიდენტო პროგრამაზე ვრცლად ისაუბრა. პრიორიტეტები კვლავ ბავშვთა რაგბის განვითარება, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ეროვნული ჩემპიონატის აღორძინება, ყველა ასაკობრივი ნაკრებების გრანდებთან მიახლოვება და მომავალ მსოფლიოს თასზე თამაშია.

სანამ ნიჟარაძე თავის პროგრამაზე ისაუბრებდა, მანამდე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ *დავით ნამგალაურმა* ითხოვა სიტყვა: „საქართველოს პრეზიდენტის დაპირებული პროგრამა, რომელიც თბილისში და რეგიონებში საფეხბურთო, სარაგბო და ერთობლივი მოედნებისა და ბაზების მშენებლობას ითვალისწინებს, დროებით შეჩერებულია, თუმც მალე ამოქმედდება და დანაპირები შესრულდება“.

ამის შემდეგ გია ნიჟარაძემ ამომრჩევლებს ახალი გამგეობის სია წარუდგინა და თხუთმეტწუთიანი შესვენებაც გამოცხადდა, დელეგატებს მოსაფიქრებელი დრო რომ ჰქონოდათ. შესვენების შემდეგ ყრილობა ჩვეული სიმშვიდით გაგრძელდა — გამგეობის ახალ სიასთან შენიშვნა არავის გასჩენია. საქართველოს რაგბის კავშირის ახალი გამგეობის ცხრაკაციანი შემადგენლობა ასეთია: გია ნიჟარაძე, ცნობილი იურისტი გოჩა სვანიძე, საქართველოში ბავშვთა რაგბის პატრიარქად ცნობილი ბათუ კეკელიშვილი, კლუბ „ყოჩების“ პრეზიდენტი გუგა გეგენავა, თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი, ვეტერანი მორაგბეები ირაკლი კიზირია, სოსო დიაკონიძე, კახა მხეიძე და ასევე ვეტერანი მორაგბე და ნაციონალი დეპუტატი ვალერი გიორგობიანი, ვინც პარლამენტში სპორტს კურირებს.

**ბაჩო სვანიძე**

# სატელეფონო მიმოხილვა

არა, ძალიან ძნელია, შენი გუნდი რომ თამაშობს და მსვლელობას ტელეფონით იგებ...

განა ერთხელ და ორჯერ მომხდარა, ტრიბუნაზე მჯდომს ან ტელევიზორთან მიმსხდარს გიყურებია შენი გუნდის თამაშისთვის — გინერვიულია, გიყვირია, წამომხტარხარ, მაგრამ როცა უყურებ, თამაშსაც, ასე ვთქვათ, „აკონტროლებ“.

ამბების ტელეფონით გაგება კი, სულ სხვაა...

შაბათს ასეთი საღამო იყო. რაგბის კავშირის პრესსამსახურის უფროსთან გიორგი მამარდაშვილთან ერთად და ტელეფონის ყოველ აწკრიალებას შიშნარევი იმედით ველოდით...

— 5:0-ს ვიგებთ, ლელო დავდეთ, გარდასახვა არ გამოგვივიდა — ასეთი იყო პირველი შეტყობინება და სიმართლე გითხრათ, იმ წუთას იმ გარდასახვის ჯავრი სულაც არ გვქონია, ლელო ხომ დავდეთ! მთავარი ეს იყო.

იმ გარდასახვის ჯავრი ცოტა მოგვიანებით გაგვიჩნდა, პორტუგალიელებმა ჯარიმით რომ გაგვიტანეს, მაშინ: 5:3-ზე ისე მშვიდად ველარ ვიყავით, 7:3-ზე კი უფრო წყნარად ვიქნებოდით...

ტელეფონის მომდევნო ზარმა კი სულ მთლად აგვაფორიაქა: „აბუ“ გაგვიგდეს ათი წუთითო...

როგორი მსაჯობაა, კაცნაკლულები რას ვშვებით, კაპიტნის გაძევების მერე როგორ გადავაწყვეთ თამაში — გონებაში უმალ ეს კითხვები ამოტივტივდა, მაგრამ როცა ტელეფონით მხოლოდ ანგარიშის გაგების იმედად ხარ, ასეთ კითხვებზე პასუხს არ უნდა ელოდო და შიშიც გძალება — ვაითუ, მსაჯობა ცუდია, ამ ათწუთეულში მეტოქემ კაცმეტობით გვაჯობოს...

ამასობაში ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ვაითუ... მაგრამ ტელეფონს კარგი ამბები მოაქვს ხოლმე ის ათი წუთიც გავიდა და ჩვენებმაც გაიტანეს, 8:3-ს ვიგებთ.

მორიგ ზარს უკვე ნაკლები შიშით ველოდებით, თუმცა უსიამოვნო ცნობა კი მოაქვს — „ლობუშს“ ჯარიმა გაუტანია.

მერე კი წუთებს ვითვლით. ეს წუთებიც, ვიცით, რომ გავიდა, თამაში დამთავრებულია და ზარიც ერთხელლა გაისმება.

11:6!

ახლა კი ჩვენი ჯერია. ლამის ნახევარ ქალაქს ვურეკავთ (ადრევე რომ გვთხოვეს, ანგარიში შეგვეტყობინებინა), და, ჩვენებმა მოიგეს 11:6-იო, ვახარებთ.

როგორი კარგია, კარგი ამბის შეტყობინება...

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექვსი ერი 2008

# ჯონიმ ფრანგები ერთხელაც მოაჯადოვა

### საფრანგეთი 13:24 ინგლისი

საფრანგეთი: ემონსი, რუჟერი, მარტი, ტრაი, კლერკი; ტინ დიუ, პარა, პიკამილე, დუზატუარი, ბონარი, პაპე, ნალე (კაპ), მა, შარჟევსკი, ფურე
სათადარიგონი: სერვა, პუქსი, ტაიონი, ოუედრაოგო, იაშვილი, სვრელა, ფლოკი
1ლ: ნალე; 1გ: ტრაი; 2ს: პარა, იაშვილი

ინგლისი: ბოლშიუ, საქეი, ნუნი, ფლუდი, ვაინიკოლო; უილკინსონი, უიგლსუორთი, ისტერი, ლიპმენი, ჰესკელი, ბორსვიკი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი
სათადარიგონი: მირსი, სტივენსი, ქეი, კროფტი, ჰოდგსონი, სიპრიანი, ტაიტი
2ლ: საქეი, უიგლსუორთი; 1გ: უილკინსიონი; 3ს: უილკინსონი; 1ა: უილკინსონი

### ირლანდია 34:13 შოტლანდია

ირლანდია: დემფსი, ბოუვი, ბ. ოდრისკოლი (კაპ), ტრიმბლი, კერნი; ოგარა, რედანი, ჰეისლიფი, დ. უოლესი, ლემი, მ. ოდრისკოლი, ოკალაჰანი, ჰეიესი, ჯეკმანი, ჰორანი
სათადარიგონი: ბესტი, ბაკლეი, ოკონელი, ესთერბი, სტრინგერი, პ. უოლესი, ხორგანი
5ლ: დ. უოლესი, კერნი, ჰორანი, ბოუვი (2); 3გ: ოგარა; 1ს: ოგარა

შოტლანდია: საუთველი, უოლკერი, ვებსტერი, ჰენდერსონი, ლამონტი, პატერსონი, ბლეირი (კაპ), ბრაუნი, ჰოგი, სტროკოჩი, მაკლეოდი, ჰაინესი, მურეი, ფორდი, იაკობსენი
სათადარიგონი: ტომსონი, კერი, ჰამილტონი, რენი, კურაიტერი, პარკსი, დე ლუკა
1ლ: ვებსტერი, 1გ: პატერსონი, 2ს: პატერსონი

### უელსი 47:8 იტალია

უელსი: ბერნი, მ. ჯონსი, შანკლინი, ჰენსონი, ს. უილიამსი, ს. ჯონსი, პილი; რ. ჯონსი (კაპ), მ. უილიამსი, ჯ. ტომასი, ევანსი, გუ, რ. ტომასი, რისი, ჯენკინსი
სათადარიგონი: ბენეტი, დუ ჯონსი, დ. ჯონსი, დელივი, ფილიპსი, ჰუკი, პარკერი
5ლ: ბერნი (2), შანკლინი, შ. უილიამსი (2), 5გ: ს. ჯონსი (3), ჰუკი (2); 4ს: ს. ჯონსი

იტალია: მარკატო, სგარბი, კანალე, ბერგამასკო, გალონი; მასი, პიცონე; პარიზე (კაპ), მა. ბერგამასკო, სოლე, ფავა, დელაპე, კასტროჯოვანი, ჯირალდინი, პერუჯინი
სათადარიგონი: ფესტუჯია, ლა კრჩერო, ბორტოლამი, ძანი, ტრავაგლი, ბასო, პატრიცო
1ლ: კასტროჯოვანი; 1ს: მარკატო

**ჯონი** უილკინსონის ჯადოფეხის წყალობით ინგლისმა შანსი არ დაუტოვა მასპინძელ საფრანგეთს. იმ დღეს ალბიონელებს ალბათ პლანეტის ვერც ერთი გუნდი ვერ მოერეოდა. „კარდებმა“ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბეს. ბრაიან ეშტონის შეგირდები თითქოს სიცოცხლის ბოლო მატჩს თამაშობდნენ. „მათ ბურთაობას შეიძლება იდეალურიც კი ეწოდოს“ — ამბობდა ერთ-ერთი ფრანგი კომენტატორი და მართლაც, ბოლო დროს ბრწყინვალე ფორმაში მყოფ „მამლებს“ საერთოდ არ მიეცათ საშუალება, რომ შეხვედრა სათავისოდ შემოეტრიალებინათ.

მხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული, რომ პოლ საქეიმ პირველი ლელო გაიტანა და უილკინსონმა გარდასახვა გამოიყენა. ვერა და ვერ იპოვეს ფრანგებმა ის თამაში, რითაც შედეგს გამოადნობდნენ. მათი მომენტალური აფეთქებები მხოლოდ 13 ქულას გასწვდა. მატჩის შემდგომ მარკ ლივერმონი ამბობდა, მუშა თამაში გვჭირდებოდა და ვერ შევძელითო. ფრანგთა შემადგენლობაში დიდი ხანის შესვენების შემდეგ გამოჩნდა დიმიტრი იაშვილი. იგი შეცვლაზე შევიდა.

უილკინსონმა კი ყველას აჩვენა, თუ რა ფასი აქვს მის ფეხებს. დროული, ტაქტიკურად სწორი და ზუსტი დარტყმებით მან თავის გუნდს შედეგიანი თამაშის საშუალება მისცა. ჯონის მხარდამხარ 9 ნომრად რიჩარდ ვიგლსუორთი იბრძოდა. იგი უშეცდომო გახლდათ მთელი ჯახის განმავლობაში და „მამლებს“ იმედისწამრთმევი ლელოც გაუტანა.


ჯონი უილკინსონი

ტურის მეორე უპრინციპულესი ჯახი ირლანდიაში გაიმართა, სადაც „სამყურებმა“ შოტლანდიელებს უმასპინძლეს. მატჩის წინ ბრაიან ოდრისკოლმა თქვა, მოედანზე მწვრთნელმა მეტი თავისუფლება მომცეს და ნახავთ, სქოთებს რა დღეშიც ჩავაგდებთო. ეტყობა, სტუმრებმა გაითვალისწინეს მასპინძლების კაპიტნის შემოქმედებითი ინიციატივა და განსაკუთრებული მეურვეობა დაუწესეს მას. ამის გამო ოდრისკოლი მინდორზე დაიკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, ტონი ბოუვმა და რობერტ კერნიმ გაილაღეს. მათ მხარი რონალ ოგარამაც აუბა, ირლანდიელთა 10-მა ნომერმა ამინდი შექმნა მოედანზე. მან არიგა და არიგა დაცვისგამტეხი პასები. ძლევამოსილი იყო „სამყურათა“ რაგბობა ხაზზე. ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა ედი ოსალივანმა კი ხანგრძლივი კრიტიკის შემდეგ ალბათ ცოტა ამოისუნთქა. ფაქტია, რომ მწვანეები თამაშიდან თამაშამდე უმატებენ და ცდილობენ, საშინელი მსოფლიოს თასიდან გამოყოლილი ნაკლოვანებები გამოასწორონ.

შოტლანდიელებს სულ მცირე იმედი მიეცათ მას შემდეგ, რაც ოცდამეხუთე წუთისთვის საიმონ ვებსტერმა ლელო დადო, მაგრამ სქოთთა გულებში დანთებულ ცეცხლს მალევე გადაასხეს მასპინძლებმა ცივი წყალი.

უორენ გატლანდი და მისი უელსი ჯერჯერობით ვერავინ გააჩერა. მართალია, „დრაკონები“ პირველ ტაიმში ცოტა გაიჭედნენ და მხოლოდ 13:8-ს იგებდნენ, მაგრამ შემდეგ ერთბაშად დარიეს სტუმრებს ხელი. პირველ ნახევარში უელსი სათამაშო დისციპლინაში მოისუსტებდა, მორაგბეებიც თითქოს მერყევნი იყვნენ, მაგრამ შესვენებიდან მობრუნებულებმა განსაცვიფრებელი ტემპი და ჟინი შესთავაზეს მომხვდურებს. იტალია კიდევ ერთხელ საშინლად გაცამტვერდა.

**ზურაბ მიგრიაული**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | +61 | 6 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | +21 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +15 | 4 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 4 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | -48 | 0 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | -57 | 0 |

კრივი

# კლიჩკო და არაფერი

## მძიმე წონის პოსტსაბჭოური სიმახინჯე



**ჩვენი** დროით კვირადილით ნიუ იორკის ლეგენდარულ „მედისონ სქვერ გარდენში“ ვლადიმირ კლიჩკომ, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაამარცხა სულტან იბრაგიმოვი და **IBF**-სა და **WBO**-ს ტიტულები გააერთიანა. უმძიმეს წონაში 1999 წლის შემდეგ ორი ქამარი ერთი მოკრივის ხელში პირველად აღმოჩნდა — 9 წლის წინ ეს ლენოქს ლუისმა გააკეთა და ახლა იგივე უმცროსმა კლიჩკომაც მოახერხა. ამასთანავე უკრაინელმა დაამტკიცა, რომ ამ წონაში უდავოდ უძლიერესია, რის გამოც ყველა ქამრის გაერთიანებაზეც არ იტყვის უარს. თუმცა, უკრაინელის ძალიან დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად, ამ ბრძოლამ კრივის ნებისმიერ გულშემატკივარს მხოლოდ დიდი იმედგაცრუება მოუტანა. ჩემპიონთა დაპირისპირებიდან დაძაბულ ჯახს თუ არა, ხეირიან ჩხუბს მაინც ველოდით, მაგრამ ის, რაც გუშინ ნიუ იორკში ვნახეთ, ღლაბუცი უფრო იყო.

ორივე მოკრივე ბრძოლის წინ შემუშავებული ტაქტიკით იბრძოდა — რაკი იბრაგიმოვი ხვდებოდა, რომ უკრაინელი უფრო ძლიერი იყო, მაქსიმალურად უფრთხოდა მეტოქის მარჯვენას და ახლო ბრძოლასაც თავს არიდებდა, შორიდან კი არაფერი გამოსდიოდა. კლიჩკო კი, როგორც სჩვევია, ოდნავადაც არ რისკავდა და ცდილობდა, მეტოქე საერთოდ არ მისწვდომოდა. ერთადერთი, რაც უკრაინელს გამოსდიოდა, მარცხენა ჯები იყო, რომლითაც ქულებს შეუფერხებლად აგროვებდა, მაგრამ ამით რუსს რაიმე სერიოზულ ზიანს ვერ აყენებდა.

ჰოდა, ასე იყო მთელი ბრძოლის განმავლობაში — მეტოქეები ერთმანეთს წრეებს ურტყამდნენ, მაგრამ ხერიან დარტყმებზე არც კი ფიქრობდნენ. მოკლედ, იბრაგიმოვს არ შეეძლო მოგება, კლიჩკოს კი — არ უნდოდა. ასეთ გლახაობაში ჩაიარა 12-ვე რაუნდმა და რა გასაკვირია, ბრძოლის შემდეგ მაყურებელმა სტვენით რომ აიკლო დარბაზი. ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ირონიულად იხუმრა, უბრალოდ, უკრაინელს რომ მოექნია მარჯვენა, იბრაგიმოვს დაანოკაუტებდა და ამ საშინელების ყურებასაც გადავურჩებოდითო.

კიდევ უფრო მწარედ და ლაზის ზიზღით ილაპარაკა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო პრომოუტერმა ბობ არუმმა:

„ამიტომაც არ ვეკარები ამ წონას. აი, თქვით, რანაირად შეიძლება ასეთი სიმახინჯე გაყიდო? როგორ უნდა მოიზიდო და დააინტერესო მაყურებელი ამდაგვარი ბრძოლით? ვინ უნდა დაარწმუნა, ამის სანახავად ფული გადაიხადოს?“

ამ ბრძოლამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა სამწუხარო რეალობა — ერთ დროს ყველაზე პრესტიჟული უმძიმესი წონა გადაშენების პირას მისულა, რადგანაც უკვე კარგა ხანია, აქ სანახაობა არავის უნახავს. ჩემპიონებიც ვერ ამართლებენ იმედებს და მაყურებლებიცა და სპეციალისტებიც დანანებით იქნევენ ხოლმე თავს მათი წვალების შემყურენი. გუშინაც ასე იყო — ვლადიმირ კლიჩკომ დაამტკიცა, რომ თავის წონაში ბადალი არ ჰყავს და ალბათ ყველა ქამარსაც გააერთიანებს, მაგრამ ასეთი ბრძოლების შემდეგ ჩემპიონის სახელს ვერ დატოვებს.

ამგვარი ბრძოლების შემდეგ მაყურებელი სულ უფრო იცრუებს გულს მძიმეწონოსნებზე და თუ ასე გაგრძელდა, მალე მათი ჯახების სანახავად არც არავინ მივა.

**კახა ლომაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. XVIII ტური

**24 თებერვალი**
**სპორტის სასახლე**

**დინამო 83:100 ვითა**
*18:33 16:11 23:26 26:30*

დინამო: ქლენტი (7), გულისაბედაშვილი (18), ლაფანაშვილი (11), ახალკაცი (12), ათანელაშვილი (20); ნანიტაშვილი, კუჭავა, სიგუა (8), მაისურაძე (7)
ვითა: ძიძიგური (3), წივწივაძე (13), მ. ბერიშვილი (15), ბეჟანიშვილი (13), ლ. ნოზაძე (2); ნ. ნოზაძე (5), მარხვაშვილი (19), ბერძენიშვილი (19), გვიმრაძე (11)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 77:85 თსუ**
*22:22 27:18 17:24 11:21*

ავიამშენი: ტულუში (7), ნიკოლაძე (15), ხოშტარია (12), მინაშვილი (14), მათიაშვილი (12 ქულა, 20 მოხსნა); შანიძე, კვიმსაძე (1), ნინიაშვილი (16), როდუმტა
თსუ: დ. ბერიშვილი (13), ფანჩულიძე (9), ხიზანიშვილი (2), ბარბაქაძე (12), ყველაშვილი (15); არწივიძე (3), კოხრეიძე, კეიდია (6), ხეცურიანი (19), ტყეშელაშვილი (6)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**მაკაბი 63:72 ენერჯი-ინვესტი**
*15:22 18:14 17:17 13:19*

მაკაბი: სორდია (8), კორკოტაძე (2), ს. შერმადინი (6), გ. შერმადინი (43 ქულა, 21 მოხსნა); ჯიქია (2), კოლუაშვილი (2)
ენერჯი: ჩიტაშვილი, ბოისა (4), ლეჟავა (4), ტუჯანი (6), ბაბიაშვილი (29); სტეფანოვი (15), დიდია (3), ცეკვავა, გოგობერიშვილი (9), ჭოჭუა
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

# სტუდენტებს სტიპენდიამ არგო

**გუშინდელი** ტურის მთავარი დაპირისპირება „ავიამშენსა" და ფინანსურად ახლახან მოღონიერებულ თსუ-ს შორის გაიმართა. ეს გუნდები ცხრილში გვერდიგვერდ არიან და ლევან მოსეშვილის „ავიაციას" რომ ეძალა, სტუდენტებს დაეწეოდა, მაგრამ... თსუ ახლა ისეთ ალმასვლას განიცდის, ყველასთვის სახიფათო გუნდად იქცა. გუშინდელი მატჩიც ამის ნათელი დადასტურებაა — ნუგზარ ჭეიშვილის დამოძლვრილმა სტუდენტებმა იანვარში ორი თასის მომგები „ავიამშენი" დაამარცხეს და მეორე ადგილზე მოიკიდეს ფეხი.

თსუ-მ სეზონი უხელფასოდ დაიწყო და ნათქვამია, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. სტუდენტები ელოდნენ, რომ დამფინანსებელი გამოუჩნდებოდათ და ორიოდ კვირის წინ ასეც მოხდა. „სახალხო ბანკმა" თსუ-ს დაფინანსება ითავა, გუნდში ხელფასებთან ერთად პრემიებიც კი გაჩნდა და სტუდენტებმაც მოგებებს უხშირეს.

ჭეიშვილის გუნდმა წინა ტურში დიდი ბრძოლა გაუმართა სუპერლიგის ლიდერ „ენერჯი-ინვესტს", თუმცა ბოლო წუთებზე ძლივძლიობით გათანაბრებული მატჩის სადავეები ხელიდან გაუსხლტა და დასანანი მარცხი იწვნია. გუშინ კი იგივე შეცდომა აღარ დაუშვა — „ავიამშენს" ბოლომდე ებრძოლა და იმარჯვა კიდეც.

ლევან მოსეშვილის სამწყსომ პირველივე წუთებზე მოიპოვა სოლიდური უპირატესობა. ვახტანგ მინაშვილმა ფარქვეშეთი დაიპყრო, გიორგი ნიკოლაძემ ირაკლი ხოშტარიასთან ერთად თსუ-ს ფარზე მისასვლელი გზები გაიბილიკა და დაწყებიდან 4 წუთში „ავიამშენი" 12:2 გალიდერდა. ჭეიშვილმა წუთშესვენება აიღო, რამდენიმე ცვლილება გააკეთა და პირველი მეოთხედის ბოლო წუთზე უკვე თსუ იგებდა — 22:21. თამაშში გონივრულად ჩაერთო ლევან ტყეშელაშვილი, შიო ხეცურიანი მანამდეც მოუსვენრობდა და „ავიამშენსაც" უპირატესობა ნისლივით გაეფანტა.

საბოლოოდ პირველი მეოთხედი ფრედ დაასრულა და თამაში ზუსტად იგივე სცენარით განახლდა, როგორც თავიდან დაიწყო, ანუ „ავიამშენმა" ისევ მოინდომა და რაგინდარა დისტანციებიდან ქულების უხვად ხვეჭის შემდეგ მეორე მეოთხედის საწყისი 3 წუთი 11:0 მოიგო — 33:22.

სტუდენტებმა კი მოინდომეს, მაგრამ პირველი მეოთხედის დარად, ამჯერად ანგარიშის მყისიერი გაბათილება ვერ შესძლეს. ხოშტარია და კოტე ტულუში ბარაქიანად იხვეჭდნენ ქულებს და დიდმა შესვენებამ რომ მოატანა, თსუ 40:49 ჩამორჩებოდა.

მესამე ათწუთეულში ჭეიშვილმა ნაცად ტაქტიკას მიმართა. „ავიამშენს" პრესინგი დაუპირისპირა და აიძულა, ბურთი ან დაეკარგა, ანაც ხშირად აეცილებინა. შედეგად, ანგარიში კვლავ გათანაბრდა — თანაც „ავიამშენის" ერთ-ერთი ლიდერი ხოშტარია გავარდა და თამაშის მოსაგებად სტუდენტებს მთელი ბოლო მეოთხედი დარჩათ.

გადამწყვეტი ათწუთეულის გმირი გახდა თსუ-ს ცენტრი გიორგი ყველაშვილი, რომელიც პერსონალურების გამო თამაშიდან „ავიატორ" ვახტანგ მინაშვილის გავარდნის შემდეგ ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი შეიქნა. ყველაშვილი ფარიდან ასხლეტილ ყველა ბურთს იღებდა და მართალია, საჯარიმოებს ხშირად აცილებდა, თამაშიდანაც ყრიდა და გადამწყვეტი სიტყვაც მისი გამოდგა.

ბოლო წუთებზე, როცა ანგარიში ქულა ქულაში მერყეობდა, ყველაშვილმა თავადაც ჩააგდო, მეტოქესაც დააფარა და თსუ-ს დაცვის რგოლში საიმედოდაც იდგა. მისი საჭირო ორქულიანის შემდეგ თსუ 77:74 დაწინაურდა და მატჩის დასრულებამდე დარჩენილი წუთნახევარიც, ჟურნალისტების მიერ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული კალათბურთელის აქტიურობაში გაილია. „ავიატორთა" საქმე მაშინ მოთავდა, როცა შიო ხეცურიანმა ტულუშს ჩაუჭრა და სირენამდე 50 წამით ადრე თავისიანები 5 ქულით დააწინაურა.

დარჩენილი ორი მატჩი კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. ამაში თამაშის სცენარს ვგულისხმობთ, თორემ ანგარიშები ერთმანეთს სულაც არ დაეტოლება. ორივე შემთხვევაში ფავორიტი თავიდანვე დაწინაურდა და მთელი მატჩი ინარჩუნებდა ლიდერობას.

„ვითამ" ბოლო ხანს მოყოჩაღებული და არაერთი საამაყო გამარჯვების მიმთვლელი „დინამო" დაამარცხა და ცხრილში ჩამოიტოვა, „მაკაბიმ" კი შედარებით მეტი ფხა გამოიჩინა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაში აგებდა ლიდერ „ენერჯი-ინვესტთან", ანგარიშში დისტანციას ინარჩუნებდა და რამდენჯერმე 2-3 ქულითაც მიუახლოვდა რუსთაველებს, მარგამ...

ვისი დამსახურებაა ეს და, რა თქმა უნდა, გიორგი შერმადინის, რომელიც ამჯერადაც ასცდა 40-ქულიან ზღვარს, თუმც წინა ტურში დამყარებული თავისივე საამსეზონო რეკორდი (47 ქულა) ვერ გააუმჯობესა. შერმადინმა 43 ქულა დააგროვა, დანარჩენმა მაკაბელებმა კი ჯამში 20 ქულა შეაკოწიწეს.



გიორგი ყველაშვილმა (№9) ფარქვეშ არავინ გაკარა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 18 | 15 | 3 | 33 |
| თსუ | 18 | 11 | 7 | 29 |
| ავიამშენი | 18 | 9 | 9 | 27 |
| ვითა | 18 | 8 | 10 | 26 |
| დინამო | 18 | 7 | 11 | 25 |
| მაკაბი | 18 | 4 | 14 | 22 |

**ირაკლი პერტაია**

# საქარიული 7

**საქართველოს** კადეტთა ნაკრებმა ისე ულიმლამოდ დაასრულა საქარიის საერთაშორისო ტურნირი, როგორც დაიწყო. გელა წულაძის დამოძლვრილი 16-წლამდელები თურქეთში საკმაოდ წარმომადგენლობით შეჯიბრში თამაშობდნენ და ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი გამარჯვების მოპოვებაც ვერ შეძლეს.

გუშინწინ ქართველმა კადეტებმა 12 გუნდიან ტურნირში მე-11 ადგილისათვის მატჩი გამართეს უკრაინელ თანატოლებთან და 57:75 წააგეს. ეს გახლდათ ქართველების მიჯრით მეშვიდე მარცხი საქარიულ ტურნირზე.

ერთხელაც ჩამოვთვალოთ, თუ ვისთან დამარცხდა წულაძის გაწვრთნილი გუნდი: ჯგუფში ჩვენებმა თურქეთთან, სლოვენიასთან, რუსეთთან, იტალიასთან და უკრაინასთან წააგეს, მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის მატჩებში კი ჯერ პოლონეთთან მოიხარეს ქედი, ტურნირის დასკვნით მატჩში კი უკრაინელებთან ერთხელაც დამწუხრდნენ.

ძიუდო

# მარცხიანი ჰამბურგი

**უმედლოდ** მიიწურა ქართველებისთვის ჰამბურგის მსოფლიოს სუპერთასი. შემცრიებული და გადახალისებული ჩვენი ნაკრები ფრიად უსახურად გამოვიდა.

სუპერთასი სამ დღეს გაგრძელდა — პარასკევს დაიწყო და კვირას დასრულდა. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების პირველ დღეს ბეთქილ შუკვანი (60 კგ), სანდრო იაკობაშვილი (66) და ზებედა რეხვიაშვილი (66) ნაადრევად გამვარდნენ. შაბათს გრიგოლ შინჯიკაშვილს (81) და ხვიჩა ხუციშვილს (81) იგივე ბედი ეწიათ, ხოლო კვირას ნოდარ მეტრეველმა (100) წააგო. ნახსენები წონითი კატეგორიების გარდა, სხვა წონებში წარმომადგენლები არ გვყოლია.

ხვიჩა ხუციშვილმა პირველი ორთაბრძოლა მონღოლ რეგდელ ანკბააცართან იპონით მოიგო, მეორე კი დათმო ჩეხ ირჟი პოკორნისთან და ტურნირს გამოეთიშა. გრიგოლ შინჯიკაშვილმა ხუციშვილზე ოდნავ მეტი გზა კი განვლო, მაგრამ რეპეშაჟსაც ვერ უწია. გრიგოლმა ჯერ ახალზელანდიელ რაიან დილრასელთან იმარჯვა იპონით, შემდეგ ესპანელ ხორხე ბენავენტუსაც გაუსწორდა სუფთა გდებით, მაგრამ იაპონელ მასაბორო ტაკამაცუსთან ველარაფერს გახდა. არადა, ტაკამაცუსთანაც იგებდა ჩვენებური ვაზარით, მაგრამ სამწუხაროდ, შეხვედრა გამარჯვებით ველარ დაასრულა.

ქართველთა ბოლო იმედი ნოდარ მეტრეველი გახლდათ. მანაც კარგად დაიწყო. ჯერ უზბეკ ოტკირ კურბანოვს აჯობა იპონით, უნგრელ დანიელ ჰადიფსაც იოლად გაუსწორდა. აი, ბერძენ დიონისის ილიადისთან აღარ ეყო ოსტატობა და შეჯიბრი დაასრულა.

საქართველოს ნაკრები დღეიდან ჰამბურგში ერთობლივ ვარჯიშებს დაესწრება. შეკრება 28 თებერვლამდე გასტანს. გერმანიაში ჩავა ნაკრების ძირითადი ბირთვიც. იქიდან შოთა ხაბარელის შეგირდები ჩეხეთის მსოფლიოს თასზე გაემგზავრებიან და ახლა იქ ცდიან ძალებს.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭიდაობა

# ორში ორი
## თითო წაგებამ ვერცხლი და ბრინჯაო მოგვიტანა

**სერბეთში** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა შორის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ტურნირზე საქართველოს ღირსება მხოლოდ ორმა ფალავანმა დაიცვა — მანუჩარ ცხადაიამ 66 კგ-ში, ხოლო გენადი გოგიშვილმა 74 კგ-ში იჭიდავა. ორივე ჩვენებური მედალს დაეუფლა. გოგიშვილმა ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, მანუჩარ ცხადაიამ კი მესამე ადგილისთვის იჭიდავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ნაკრების მთავარი ბირთვი უნგრეთში გასამართი მსოფლიოს თასისთვის ემზადება. 28-29 თებერვალს ქართველები ჯერ გუნდურ შეჯიბრში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მსოფლიოს რეიტინგით 5 საუკეთესო ნაკრები და ასევე მასპინძელი უნგრეთი გამოვა, მერე კი პირადი პირველობაც გაიმართება და სავარაუდოდ, იქ უკვე 40-მდე ნაკრები მოიყრის თავს.

**ლექსო მაისურაძე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## 21 თებერვალი

**გოლდენ სტეიტი 110:117 ატლანტა**

გოლდენ სტეიტი: დევისი (35), ელისი (26), პიეტრუსი, ჰარინგტონი (12), ვებერი (4); აზუბუკე (14), ბარნსი (9), რაიტი (8), კრომერი (2)

ატლანტა: ბიბი (17), ჯონსონი (27 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), მ. უილიამსი (10 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (17), ჰორფორდი (8); სტუდემაიერი (18), ჩილდრესი (13), ფაჩულია (10 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), რიჩარდსონი

**ინდიანა 113:103 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: დანლივი (34), დინერი (19), გრეინჯერი (18)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (34), ნახბარი (22), კარტეტი (15)

**ორლანდო 115:99 ფილადელფია**

ორლანდო: თურქოღლუ (31), ჰოვარდი (24 ქულა, 18 მოხსნა), ლუისი (17)

ფილადელფია: იგუდალა (25), მილერი (25), გრინი (21)

**შარლოტი 115:116 საკრამენტო**

ძირითადი დრო 110:110

შარლოტი: რიჩარდსონი (29), ფელტონი (17 ქულა, 10 პასი), ანტერსონი (15)

საკრამენტო: გარსია (23), მილერი (20 ქულა, 14 მოხსნა), არტესტი (20)

**ნიუ იორკი 103:99 ტორონტო**

ნიუ იორკი: კროუფორდი (43), რენდოლფი (26 ქულა; 15 მოხსნა)

ტორონტო: ბოში (23), პარკერი (18), დელფინო (18)

**დეტროიტი 127: 100 მილუოკი**

დეტროიტი: ბილაფსი (21 ქულა, 12 მოხსნა), ვოლესი (17), ჰამილტონი (16)

მილუოკი: ვილანუევა (18), რედი (18), უილიამსი (16)

**კლივლენდი 90:89 ვაშინგტონი**

კლივლენდი: ჯეიმსი (33 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი), ჯონსი (27)

ვაშინგტონი: სონგაილა (19), სტივენსონი (18), ჯემისონი (16)

**მემფისი 83:98 დალასი**

მემფისი: გაი (18), უორიკი (15)

დალასი: ნოვიცკი (27), ტერი (22), ჰოვარდი (20)

**ნიუ ორლეანი 80:100 ჰიუსტონი**

ნიუ ორლეანი: ვესტი (20 ქულა, 10 მოხსნა), პოლი (14 ქულა, 11 პასი)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (34), მინი (23 ქულა, 14 მოხსნა)

**ჩიკაგო 135:121 დენვერი**

ჩიკაგო: გორდონი (37), ნოჩიონი (21), ტომასი (18 ქულა, 11 მოხსნა)

დენვერი: სმიტი (43), აივერსონი (29), ენტონი (22)

## 22 თებერვალი

**იუტა 100:94 ატლანტა**

იუტა: უილიამსი (12), ბრიუერი (12), კირილენკო (11), ბუზერი (21 ქულა, 12 მოხსნა), ოქური (8); კორვერი (13), ჰარპრინგი (10), პრაისი (10), მილსაპი (3), კოლინზი

ატლანტა: ბიბი (18), ჯონსონი (14 ქულა, 10 მოხსნა, 9 პას), უილიამსი (16), სმიტი (30 ქულა, 12 მოხსნა), ჰორფორდი (4); ფაჩულია (14 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჩილდრესი (4), სტუდემაიერი (4), რიჩარდსონი, ჯონსი

**სან ანტონიო 98:89 ნიუ ორლეანი**

სან ანტონიო: ჯინობილი (30 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), დანკანი (25 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება)

ნიუ ორლეანი: პოლი (27), ვესტი (16)

**კლიპერსი 95:113 ლეიკერსი**

კლიპერსი: მაგეტი (23), ტომასი (20), ტორნსტონი (14)

ლეიკერსი: გასოლი (23), ოდომი (20 ქულა, 10 მოხსნა), ბრაიანტი (17), ვუიაჩიჩი (17)

**მილუოკი 115:109 დენვერი**

მილუოკი: რედი (42), უილიამსი (26), ბოგუტი (12 ქულა, 20 მოხსნა)

დენვერი: აივერსონი (26), ენტონი (25), სმიტი (20)

**მაიამი 96:100 ფილადელფია**

ძირითადი დრო 91:91

მაიამი: უეიდი (33), ბანქსი (17)

ფილადელფია: იგუდალა (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), მილერი (24)

**ვაშინგტონი 110:95 შარლოტი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (22), სტივენსონი (20), ჰეივუდი (15)

შარლოტი: რიჩარდსონი (25), ოკაფორი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 102:91 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (36), კარტერი (24), ბუნი (19 ქულა, 13 მოხსნა)

ინდიანა: გრეინჯერი (29), დანლივი (19)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 41 | 12 | 77,4 |
| ტორონტო | 29 | 24 | 54,7 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 31 | 44,6 |
| ფილადელფია | 25 | 32 | 43,9 |
| ნიუ იორკი | 17 | 38 | 30,9 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 40 | 15 | 72,7 |
| კლივლენდი | 31 | 24 | 56,4 |
| ჩიკაგო | 22 | 32 | 40,7 |
| ინდიანა | 22 | 34 | 39,3 |
| მილუოკი | 21 | 35 | 37,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 35 | 22 | 61,4 |
| ვაშინგტონი | 26 | 29 | 47,3 |
| ატლანტა | 22 | 31 | 42,9 |
| შარლოტი | 19 | 37 | 33,9 |
| მაიამი | 9 | 44 | 17,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 37 | 17 | 68,5 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 17 | 68,5 |
| დალასი | 36 | 19 | 65,5 |
| ჰიუსტონი | 35 | 20 | 63,6 |
| მემფისი | 14 | 41 | 25,5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 36 | 20 | 64,3 |
| დენვერი | 33 | 22 | 60,0 |
| პორტლენდი | 29 | 26 | 52,7 |
| სიეტლი | 15 | 39 | 27,8 |
| მინესოტა | 11 | 42 | 20,8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 38 | 17 | 69,1 |
| ფინიქსი | 38 | 17 | 69,1 |
| გოლდენ სტეიტი | 33 | 22 | 60,0 |
| საკრამენტო | 26 | 28 | 48,1 |
| კლიპერსი | 19 | 34 | 35,8 |

# ჰიუსტონი რაკეტას შიგ გულში ურტყამს


მანუ ჯინობილი

**ჰიუსტონელ** „რაკეტებს“ მარტო ბირთული ქობინი აკლიათ. მოწინააღმდეგეებს მათი გამოჩენისას გულში შიში უდგებათ და აი, მათ აგერ ზედიზედ მე-11 თამაში მოიგეს, თანაც აქედან 10 გასვლაზე! დასავლეთში მე-11 ადგილიდან მე-7 საფეხურამდე ამოიწიეს და იმ ზონაში შეფრინდნენ, სადაც საშინელი სიმჭიდროვეა და დედა შვილს არ აიყვანს ხელში — ოროოდ გამარჯვება და კონფერენციის თავში ხარ.

პარასკევს „რაკეტები“ წლევანდელი ოლ სტარის მასპინძელ ნიუ ორლეანში ჩაფრინდნენ და კრის პოლის გუნდს დაატყდნენ. ოლ სტარის გარეთ ბოლო 7 წელიწადში პირველად დარჩენილმა ტრეისი მაკგრეიდიმ დამხვდურებს 34 ქულა აძგერა, იაო მინმა კი 28 ქულას 14 მოხსნა დაურთო.

თითქოს ეს 80:100 მარცხი არ ეყოფოდათო, ნიუორლეანელებს მეორე დღეს „სან ანტონიო“ მიუხტა და მანუ ჯინობილის ფანტასტიკური თამაშით გატეხა. არგენტინელმა მოიერიშემ, რომელიც, მაკგრეიდის დარად, ტელევიზორში ადევნებდა თვალს ოლ სტარს (არადა, გასულ კვირადღეს მისი ადგილი „ნიუ ორლეან არენაზე“ სხვა ვარსკვლავთა შორის იყო), ახლა 30 ქულა გაისროლა და ზედაც კარიერაში უბევრესი, 12 პასი დააყოლა. მხოლოდ 10 ქულით შემოიფარგლა ტრავმამოშუშებული სანანტონიოელი ტონი პარკერი, მაგრამ იმ დღეს „სფურზი“ მისგან არც ითხოვდა გმირობებს, ჯინობილი და დანკანი ჯომარდობდნენ. ერთი ხანობა ეშმაკმა პოლმა და მისმა გუნდმა 19:2 გაინავარდეს და 78:78 გაათანაბრეს, მაგრამ მერე ისევ „სან ანტონიომ“ უკუიპყრო ლიდერობა. ამ ორი მარცხით „ნიუ ორლეანმა“ დაკარგა პირველობა დასავლეთში და მეხუთე საფეხურამდე დაჩოჩდა. პოლი ჩიოდა, რა ბედნიერი დღეები გვედგა, ჯერ ოლ სტარი მივიღეთ, მერე „დალასს“ მოვუგრიხეთ კისერი, მაგრამ მერე ბედისწერამ კიდევ ორი ტეხასური მონსტრი გამოგვიგზავნაო.

მონსტრის სახეს იძენს „ლოს ანჯელეს ლეიკერსიც“, რომელმაც პაუ გასოლის დათრევის შემდეგ ცხრიდან რვა თამაში მოიგო და „ფინიქსთან“ შეზიარებით პირველობს დასავლეთს.

უხეირო აღმოსავლეთში საპლეიოფო პოზიციას კარგავს ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“, რომელმაც ზედიზედ ექვსმატჩიანი სერია სან ფრანცისკოში შესუსტებული „გოლდენ სტეიტის“ ძლევით შეწყვიტა, მაგრამ მერე სოლტ ლეიკ სიტიში „იუტასთან“ წააგო. აქაც და იქაც კარგი იყო ახალწვეული მაიკ ბიბი, რომელიც 4 ატლანტურ თამაშში საშუალოდ 14,4 ქულას და 5,5 პასს იხვეჭს.

**კოტე ყორშია**

## ჩოგბურთი



გუშინ სალამოს მარია შარაპოვამ
დოჰას ტურნირის ფინალშიც იმარჯვა და ჩეკიც მიიღო

### კაცები
როტერდამი. ჰოლანდია

**მეოთხედფინალი**

რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:3 6:2; ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:3 6:2; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — მიშა ზვერევი (გერმანია) 6:3 6:1; მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 7:6 7:6

**ნახევარფინალი**

სოდერლინგი — სიმონი 6:2 6:1; ლოდრა — კარლოვიჩი 7:5 7:6

### კაცები
ბუენოს აირესი. არგენტინა

**მეოთხედფინალი**

დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 4:6 7:6 6:4; ხოსე-იგნასიო ჩელა (4, არგენტინა) — ნიკოლას ალმაგრო (5, ესპანეთი) 6:3 2:1 უარი; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — იგორ ანდრეევი (6, რუსეთი) 3:6 6:1 6:3; ფილიპო ვოლანდრი (8, იტალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4 6:4

**ნახევარფინალი**

ნალბანდიანი — ჩელა 6:1 6:2; აკასუსო — ვოლანდრი 4:6 6:4 6:4

### კაცები
სან ხოსე. აშშ

**მეოთხედფინალი**

ენდი როდიკი (1, აშშ) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 1:6 7:5; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — ჯონ აიზნერი (აშშ) 7:6 6:7 7:6; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — იენ ჰსუნ-ლუ (ტაივანი) 6:2 7:6; რობი ჯინეპრი (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (2, აშშ) 6:2 6:2

**ნახევარფინალი**

როდიკი — გარსია-ლოპესი 7:6 6:1; შტეპანეკი — ჯინეპრი 6:7 6:4 6:1

### ქალები
დოჰა. ყატარი

**მეოთხედფინალი**

აგნეშკა რადვანსკა (16, პოლონეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:7 6:4; მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:1 6:0; ნა ლი (ჩინეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 6:4; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — სიბილ ბამერი (15, ავსტრია) 2:6 6:2 6:0

**ნახევარფინალი**

შარაპოვა — რადვანსკა 6:4 6:3; ზვონარიოვა — ლი 3:6 6:3 6:3

### ქალები
ბოგოტა. კოლუმბია

**მეოთხედფინალი**

ბეტინა ხოსამი (არგენტინა) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:3 6:1; ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) — სარა ერანი (იტალია) 7:5 6:1; კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 7:6 6:4; მარია ემილია სალერნი (არგენტინა) — მარიანა მარინო (კოლუმბია) 6:3 4:6 6:4

**ნახევარფინალი**

ლაგოსტერა-ვივესი — ხოსამი 6:2 6:2; სალერნი — ნავარო 3:6 7:6 6:3

## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

**VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

**VII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 1:0 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |

# სუპერტურნირმა ოკეანე გადმოცურა

**21-ე კატეგორიის** სუპერტურნირის პირველი წრე მექსიკურ მორელიაში დასრულდა და მეორე კი ოკეანისგადმოღმა, ესპანურ ლინარესში ჩატარდება.

კარგა ხანია, გულშემატკივრებს ასეთი შედეგიანი და საინტერესო ტურნირი არ უნახავთ: 28 პარტიიდან, მხოლოდ 13 დასრულდა ყაიმით. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ტემპი არც ლინარესში დაეცემა და კვლავაც უშეღავათო ბრძოლებს ვიხილავთ.

პირველ ადგილზე ვიშვანათან ანანდია 4,5 ქულით. ინდუსმა 7 პარტიიდან სამი მოიგო, სამი ყაიმით დაასრულა, ერთი კი წააგო. აღსანიშნავია, რომ მან ყველა მოგება შავი ფიგურებით გააზერხა და ამიტომ ხუმრობით შავი მონსტრი შეარქვეს.

მეორე ადგილს ვესელინ ტოპალოვი და ალექსეი შიროვი იყოფენ. ორივე დიდოსტატი საწყის ტურებში სუსტად თამაშობდა, თუმც ბოლო ორ ტურში მათ 1,5-1,5 ქულა აიღეს და ლიდერსაც მიუახლოვდნენ.

ხმაურიანი გამარჯვება მიითვალა 17 წლის მაგნუს კარლსენმა. ნორვეგიელმა ყმაწვილმა ყოფილ მეორეადგილოსან ლევონ არონიანს მოუგო და ცხრილის შუაში ჩაათრია.

კარლსენმა პარტია კლასიკური e4-ით დაიწყო, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და ფიგურების განვითარებას შეუდგა. არონიანმა იერიშებს მიმართა, თუმც მე-18 სვლაზე შეცდა და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნორვეგიელმა უფრო თამამად გააგრძელა თამაში, შავების ლაშქარს ბდღვირი ადინა და მე-40 სვლაზე დაამარცხა.

ტურნირი 28 თებერვალს განახლდება.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 4,5 |
| 2. | ალექსეი შიროვი | 4 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი | 4 |
| 4. | ლევონ არონიანი | 3,5 |
| 5. | მაგნუს კარლსენი | 3,5 |
| 6. | ვასილ ივანჩუკი | 3 |
| 7. | თეიმურ რაჯაბოვი | 3 |
| 8. | პეტერ ლეკო | 2,5 |




**მოსკოვში** Aeroflot open დასრულდა. შეჯიბრში 457 მოჭადრაკემ იასპარეზა, თამაშები კი შვეიცარიული სისტემით 9-9 ტურად ჩატარდა და საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარი ჰქონდა.

ტურნირზე სამი ქართველი მოჭადრაკეც გამოვიდა, თუმც მაღალ ადგილებს ერთიც ვერ შესწვდა.

ბადურ ჯობავამ მთავარ, A კატეგორიის ტურნირში იასპარეზა და 27-ე ადგილს დასჯერდა. მან 3 პარტია მოიგო, ორი წააგო, ოთხი კი ყაიმით დაასრულა და პირველ ადგილზე გასულს ორი ქულით ჩამორჩა. გამარჯვებული 17 წლის მასპინძელი იან ნეპომნიაშჩი გახდა და საპრიზო 30 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა.

A2 ტურნირის მოსაგებად ნახევარი ქულა დააკლდა გიორგი ყაჭეიშვილს. ჩვენებურმა 6,5 ქულა დააგროვა, პირველზე გასულმა რუსმა მარატ ასკაროვმა კი — 7. საბოლოოდ ქართველმა მეხამე-მეხუთე ადგილები გაიყო.

B2 ტურნირზე ითამაშა ნაზი პაიკიძემ და მე-18 ადგილს დასჯერდა. მან ხუთი პარტია მოიგო, ერთი წააგო, სამი ყაიმით დაასრულა და გამარჯვებულებს მთელი ქულით ჩამორჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# გოგშელიძის კიევური ოქრო



გიორგი გოგშელიძემ (მარცხნივ) ერთი ოქროც მოინაგრა

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა კიევის საერთაშორისო ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და ორი მედალიც მოიპოვა. ზაზა თურმანიძის გაწვრთნილებიდან გიორგი გოგშელიძემ (96კგ) და რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) იყოჩაღეს. გოგშელიძემ მთელი გზა დაუმარცხებლად განვლო, ფინალში ირანელი გოლიათი ამირ განჯი დასცა და საუკეთესოს წოდებაც მოიპოვა. 84 კგ-ში გამოცდილი რევაზ მინდორაშვილი ბრინჯაოს შესწვდა. ამ წონაში პირველობა არავის დაუთმო რუსმა კეტოევმა. სხვა ქართველებიდან სამედლოდ ვერავინ გაიწია. ბესო გუჩაშვილმა პირველივე დაპირისპირება ირანელ მუსტაფა აგჰაჯანთან ისე წააგო, ქულასაც ვერ გამორჩა. ვერ იყოჩაღეს მალხაზ ქურდიანმა (60კგ), კობა კაკალაძემ (66კგ) და გელა სალირაშვილმა (74კგ). 84-ში მინდორაშვილის გარდა არჩილ ქიტიაშვილიც ჭიდაობდა, ვინც ახლახანს დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატზე იპირველა, თუმც ისიც ხელმოცარული დარჩა. წააგო მძიმეწონოსანმა დავით მოძმანაშვილმაც.

**ლექსო მაისურაძე**



# მონრეალის მე-14 გეინის 23-ია

**მონრეალმა,** ქალაქმაც და გუნდმაც, კიდევ ერთი თავისი ყოფილი მოთამაშე დააფასა და მისი მაისურა „ბელ ცენტრის“ თაღქვეშ გამოჰკიდა. ამჯერად ეს პატივი „კანადიენსის“ ყოფილ კაპიტანსა და გუნდის მოქმედ გენერალურ მენეჯერ ბობ გეინის ერგო, რომლის 23 ნომერი გუშინ უკვდავყვეს.

გეინიმ მთელი 16-წლიანი კარიერა „მონრეალში“ გაატარა. მან „კანადიენსის“ რიგებში 1160 მატჩი ჩაატარა და სათქმელია, რომ ერთადერთი თავდასხმელი, მხოლოდ მორის „რაკეტა“ რიშარია, ვინც გუნდის შემადგელობაში მასზე მეტი ითამაშა. გეინი 70-იანი წლების „მონრეალური“ დინასტიის უცვლელი ნაწილი იყო და ნჰლ-ში დაცვითი პლანის პირველ სერიოზულ, თავდასხმელად ითვლებოდა. დაარსდა თუ არა, მან ზედიზედ ოთხჯერ მოიგო „სელკე ტროფი“ (საუკეთესო დაცვითი პლანის თავდამსხმელს ეძლევა). ამდენჯერ ეს ჯილდო მეტი არც არავის მოუგია. გარდა თავდასხმისა, დაცვაშიც ძალიან ძლიერი თამაშის გამო დიდმა რუსმა მწვრთნელმა ვიქტორ ტიხონოვმა გეინის მსოფლიოს ყველაზე სრულყოფლი მოთამაშე უწოდა.

1979 წელს გეინიმ პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულიც დაიმსახურა, 1992 წელს კი ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

გეინი მეთოთხმეტეა, რომლის ნომერიც და სახელიც „მონრეალმა“ უკვდავყო. აქამდე ეს პატივი შემდეგმა ჰოკეისტებმა დაიმსახურეს: ჟაკ პლანტი (1), დუგ ჰარვი (2), ჟან ბელივო (4), ბერნარ ჟოფრიონი (5), ჰოვი მორენცი (7), მორის რიშარი (9), გი ლეფლიორი (10), დიკი მური და აივან კურნუაიე (12), ანრი რიშარი (16), სერჟ სავარი (18), ლარი რობინსონი (19) და კენ დრაიდენი (29).

**კახა ლომაშვილი**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 22 თებერვალი

**დალასი 5:2 ედმონტონი**
*1:0 2:0 2:2*
1:0 ერიკსონი (17), 2:0 ლეჰტინენი (26), 3:0 მოროუ (38), 4:0 ლეჰტინენი (45), 4:1 პენერი (48), 4:2 ჰლენკროსი (55), 5:2 მოდანო (59)

**კალგარი 1:0 დეტროიტი**
*1:0 0:0 0:0*
1:0 ტანგეი (12)

**ფინიქსი 2:3 კოლორადო**
*1:1 0:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 რაინპრეხტი (11), 1:1 შჩასტნი (15), 1:2 სვატოში (30), 2:2 მორისი (60)

**ანაჰაიმი 2:1 სენტ ლუისი**
*0:0 0:0 1:1 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 ჯონსონი (43), 1:1 სელიანე (45), 2:1 პალსონი (61)

### 23 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 4:2 აილენდერსი**
*2:1 0:1 2:0*
0:1 ვასიჩეკი (8), 1:1 ელიაში (11), 2:1 მადენი (12), 2:2 ფედოტენკო (22), 3:2 პარიზე (43), 4:2 ჯიონტა (45)

**პიტსბურგი 3:4 ოტავა**
*1:0 2:2 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 სიკორა (2), 2:0 არმსტრონგი (45), 3:0 ტაფე (31), 3:1 ტილმანი (53), 3:2 ჰიტლი (38), 3:3 ჰიტლი (47), 3:4 ალფრედსონი (65)

**ლოს ანჯელესი 5:6 ჩიკაგო**
*1:1 0:4 4:0 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 ჰაროლდი (6), 1:1 შარპი (10), 1:2 ჰავლატი (25), 1:3 ზიუზინი (25), 1:4 ტოიესი (28), 1:5 უილიამსი (29), 2:5 კამალერი (50), 3:5 პრეისინგი (53), 4:5 ოსალივანი (59), 5:5 კოპიტარი (60), 5:6 შარპი (62)

**კაროლინა 6:3 ვაშინგტონი**
*1:2 3:1 2:0*
0:1 გრინი (7), 1:1 კალენი (14), 1:2 სიომინი (17), 2:2 კალენი (24), 3:2 კოული (26), 3:3 ლაიხი (29), 4:3 სტაალი (37), 5:3 ლედი (44), 6:3 კორვო (48)

**ფილადელფია 1:2 ფლორიდა**
*0:0 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 ბრიარი (37), 1:1 ბაუმისტერი (60), 1:2 იოკინენი (64)

**ტორონტო 3:1 ატლანტა**
*0:1 1:0 2:0*
0:1 რეკი (12), 1:1 სუნდინი (24), 2:1 სტინი (43), 3:1 ანტროპოვი (53)

**ბუფალო 3:4 რეინჯერსი**
*1:2 2:1 0:1*
0:1 იაგრი (7), 1:1 კოტალიკი (9), 1:2 დოუსი (10), 2:2 პომინვილი (25), 3:2 კოტალიკი (31), 3:3 დუბინსკი (31), 3:4 ევერი (55)

**კოლუმბუსი 3:0 მონრეალი**
*2:0 0:0 1:0*
1:0 ნეში (7), 2:0 მიურეი (11), 3:0 მალოტრა (57)

**ტამპა 3:5 ბოსტონი**
*1:1 1:2 1:2*
1:0 დარშე (5), 1:1 ლუჩიჩი (15), 1:2 სტიუარტი (26), 2:2 უელე (32), 2:3 მიურეი (39), 2:4 მიურეი (41), 3:4 პროსპალი (58), 3:5 აკსელსონი (59)

**ნეშვილი 3:6 დალასი**
*1:1 0:3 2:2*
0:1 მიეტინენი (12), 1:1 კოისტინენი (14), 1:2 რიბეირო (26), 1:3 ერიკსონი (38), 1:4 რებიერო (40), 2:4 დიუმონი (42), 2:5 მოროუ (51), 2:6 ერიკსონი (51), 3:6 სუტერი (60)

**ვანკუვერი 4:1 დეტროიტი**
*1:1 1:0 2:0*
1:0 ედლერი (15), 1:1 დაციუკი (17), 2:1 სალო (31), 3:1 კესლერი (44), 4:1 კესლერი (57)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 1 | სიტი-ევერტონი | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 69 | შაფჰაუზენი-ვინტერთური | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | იტალია. სერია C1/A. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 70 | სასუოლო-კავეზე | 1.55 | 3.20 | 6.00 | 1.04 | 1.23 | 2.08 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 71 | სედანი-ნანტი | 2.55 | 2.80 | 2.75 | 1.33 | 1.32 | 1.38 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა. 25 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 72 | აკადემიკა-ბოავიშტა | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | ჩეხეთი. 25 თებერვალი | | | | | | |
| 20:15 | 73 | ბრნო-სლავია | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | სიტი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10071 | სედანი-ნანტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10136 | ლაუტერნი-კობლენცი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | სიტი-ევერტონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11071 | სედანი-ნანტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11136 | ლაუტერნი-კობლენცი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | სიტი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12071 | სედანი-ნანტი | 1.50 | 2.00 |
| 12072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.60 | 1.90 |
| 12136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | სიტი-ევერტონი | 1.90 | 1.70 |
| 13072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.70 | 1.90 |
| 13136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | სიტი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14071 | სედანი-ნანტი | 1.90 | 1.90 |
| 14072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.80 | 2.00 |
| 14136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | სიტი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | სედანი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ლაუტერნი-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | სიტი-ევერტონი | 1.65 | 2.05 |
| 16071 | სედანი-ნანტი | 1.80 | 1.85 |
| 16072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.62 | 2.05 |
| 16136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.25 | 3.40 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | სიტი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | სედანი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17136 | ლაუტერნი-კობლენცი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ფეხბურთი

## ინგლისი

### ლიგის თასის ფინალი

**ტოტენჰემი 2:1დ.დ.(1:1) ჩელსი**

0:1 დროგბა (39), 1:1 ბერბატოვი (70პ), 2:1 ვუდგეიტი (94)

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ჰატონი, ვუდგეიტი, კინგი, ჩიმბონდა (ჰადლსტოუნი 61), ლენონი, ჯენასი, ზოკორა, მალბრანკი (ტაინიო 75), ბერბატოვი, კინი (კაბული 102)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი (ს. კალუ 72), ესიენი (ბალაკი 88), ლამპარდი, მიკელი (ჯ. კოული 98), ანელკა, დროგბა

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: ზოკორა, მიკელი, კარვალიუ, ტაინიო, ლენონი, ჯენასი

მსაჯი: ჰალსი

87 660 მაყურებელი

## მოუგო, აართვა და დაეწია

**გუშინ** სახელგანთქმულ „უემბლიზე“ ლონდონური დერბი გაიმართა, რომლის გამარჯვებულსაც არა უბრალოდ 3 ქულა ერგო, არამედ ერთობ სოლიდური ტიტული, რომელსაც 2003 წლიდან მოყოლებული ოფიციალურად Carling Cup ეწოდება, ხოლო უფრო მარტივად — ინგლისის ლიგის თასი. ამ ტურნირის ფინალურ მატჩში ერთმანეთს „ჩელსი“ და „ტოტენჰემი“ დაუპირისპირდნენ. „დეზთა“ სათავეში ხუანდე რამოსის ორთვიანმა მოღვაწეობამ ნაყოფი უკვე გამოიღო — ესპანელი სპეციალისტის ხელში გუნდმა 9-წლიანი ნავსი გატეხა და ნანატრი ტიტული მოიპოვა.

შეხვედრის ანგარიში 39-ე წუთზე კოტდივუარელმა დიდიე დროგბამ გახსნა: „ჩელსის“ ფორვარდმა ჩინებული საჯარიმო შეაგდო. „ტოტენჰემმა“ კი ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გაათანაბრა — ბულგარელმა დიმიტარ ბერბატოვმა პენალტი გაიტანა, რომელიც მსაჯმა უეინ ბრიჯის მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნა.

დამატებითი დროის დებიუტში კი ბედმა „დეზებს“ გაუღიმა: 94-ე წუთზე ჯერმეინ ჯენასმა „არისტოკრატთა“ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ბურთს თავი ჯონათან ვუდგეიტმა შეაგება — 2:1. „ტოტენჰემმა“ ლიგის თასი ისტორიაში მეოთხედ მოიგო და ამ მაჩვენებლით იგივე „ჩელსის“ დაეწია. სხვათა შორის, „ჩელსი“ გუშინდელამდე ამ თასს თავად პატრონობდა, რაკი შარშანდელ ფინალში „არსენალი“ დაამარცხა. ამ ტურნირის ყველაზე ტიტულოვან გუნდად კი „ლივერპული“ რჩება, რომლის მუზეუმშიც ლიგის თასის 7 ასლი ინახება.

**სლავა გასპაროვი**




## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

ლიბერეცი — ტეპლიცე 4:0; ბანიკი — ზლინი 2:1; კლადნო — ბოლესლავი 0:1; ბოჰემიანსი — პლზენი 2:2; ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 0:0; მოსტი — სიგმა 1:1; სპარტა — ჟიჟკოვი 6:1. ბრნო — სლავია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 17 | 11 | 5 | 1 | 27:9 | 38 |
| სპარტა | 18 | 11 | 3 | 4 | 37:16 | 36 |
| ტეპლიცე | 18 | 10 | 3 | 5 | 25:17 | 33 |
| ბანიკი | 18 | 8 | 7 | 3 | 27:19 | 31 |
| პლზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 21:18 | 29 |
| ბრნო | 17 | 7 | 5 | 5 | 26:24 | 26 |
| ბოლესლავი | 18 | 5 | 8 | 5 | 20:19 | 23 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 6 | 5 | 7 | 21:21 | 23 |
| ზლინი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:22 | 23 |
| სიგმა | 18 | 4 | 10 | 4 | 12:15 | 22 |
| ლიბერეცი | 18 | 5 | 6 | 7 | 18:18 | 21 |
| ჟიჟკოვი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:35 | 19 |
| იაბლონეცი | 18 | 3 | 7 | 8 | 11:18 | 16 |
| კლადნო | 18 | 4 | 4 | 10 | 22:30 | 16 |
| ბოჰემიანსი | 18 | 3 | 6 | 9 | 12:24 | 15 |
| მოსტი | 18 | 2 | 7 | 9 | 20:34 | 13 |

## ამხანაგური მატჩები

ლოს ანჯელესი — ფკ სიდნეი 2:1; ჰიუსტონი — გამბა 1:6; ფრედერისია — ვიბორგი 2:1; ნორდსიელანდი — მალმიო 2:1; ოლბორგი — კრილია 2:3; ფრედრიკსტადი — ვოლერენგა 3:3; ტრომსიო — კალმარი 0:1

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXII ტური

გრასჰოპერი — ქსამაქსი 2:0; სენტ გალენი — თუნი 3:0; ბაზელი — აარაუ 2:1; ლუცერნი — ციურიხი 2:1; იანგ ბოისი — სიონი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 22 | 14 | 4 | 4 | 44:23 | 46 |
| იანგ ბოისი | 22 | 11 | 7 | 4 | 52:37 | 40 |
| ციურიხი | 22 | 10 | 7 | 5 | 44:23 | 37 |
| გრასჰოპერი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:38 | 30 |
| ლუცერნი | 22 | 6 | 11 | 5 | 30:35 | 29 |
| აარაუ | 22 | 6 | 9 | 7 | 32:32 | 27 |
| ქსამაქსი | 22 | 6 | 7 | 9 | 30:35 | 25 |
| სიონი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:34 | 23 |
| სენტ გალენი | 22 | 6 | 4 | 12 | 28:49 | 22 |
| თუნი | 22 | 4 | 6 | 12 | 19:34 | 18 |

### ჩელენჯლიგა. XX ტური

ივერდონი — ვოლენი 0:1; კიასო — ბელინცონა 1:1; გოსაუ — ჩამი 3:2; ლოკარნო — ლუგანო 1:3; ვადუცი — ლოზანა 2:1; ვილი — კრიენსი 2:1; დელემონი — შო დე ფონი 2:0; სერვეტი — კონკორდია 3:1. შაფჰაუზენი — ვინტერთური დღეს გაიმართება

## ხორვატია

### I დივიზიონი. XX ტური

ინტერი — ზაგრები 1:1; ციბალია — მედიმურიე 2:0; შიბენიკი — ოსიეკი 1:0; ზადარი — სლავენი 1:0; დინამო — ვარტექსი 1:2; ჰაიდუკი — რიეკა 1:1

# ინგლისი
## პრემიერლიგა
## XXVII ტური

**ბლექბერნი 4:1 ბოლტონი**

1:0 მაკკარტი (25პ), 1:1 დევისი (50), 2:1 მაკკარტი (67პ), 3:1 ბენტლი (71), 4:1 პედერსენი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ხიზანიშვილი, სამბა, უორნოკი, რიდი, დანი (მოკოენა 77), პედერსენი, ემერტონი, ბენტლი, მაკკარტი (რობერტსი 82), სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ბოლტონი: იასკელაინენი, ე. ობრაიენი, სტეინსონი, კეჰილი, ტეილორი, გარდნერი, ნოლანი (კოენი 76), კამპო (ჯ. ობრაიენი 76), გუტრიე (რასიაკი 67), კ. დევისი, დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: რიდი, ნოლანი, გუტრიე, დანი, კამპო, დიუფი
მსაჯი: კლატენბურგი
23 995 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:2 არსენალი**

1:0 მაკფადენი (28), 1:1, 1:2 უოლკოტი (50, 55), 2:2 მაკფადენი (90პ)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კელი, მარტინ ტეილორი, რიდგუელი, მერფი, ლარსონი (ნაფტი 66), ჯონსონი, მუამბა, კაპო (ზარატე 59), მაკფადენი, ფორსელი (პარნაბი 15)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, სენდეროსი, კლიში, უოლკოტი (დენილსონი 89), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (ჟილბერტო სილვა 89), ადებაიორი, ედუარდო (ბენდტნერი 8)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სანია, გალასი
გაძევება: მარტინ ტეილორი (3)
მსაჯი: დინი
27 195 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:5 მანჩესტერი**

0:1 რუნი (25), 0:2, 0:3 რონალდუ (45, 56), 1:3 ფაიე (79), 1:4 რუნი (80), 1:5 საა (90)
ნიუკასლი: გივენი (ჰარპერი 46), ბეიე, ს. ტეილორი, ფაიე, ნზოგბია, მილნერი (ჯერემი 84), ბათი, ბარტონი (კეროლი 61), დაფი, ოუენი, სმიტი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (სქოულზი 74), ევრა (ოში 46), რონალდუ (საა 67), კარიკი, ფლეტჩერი, ნანი, რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ნზოგბია, ფაიე, ოუენი, ბათი
მსაჯი: ფოი
52 291 მაყურებელი

**ლივერპული 3:2 მიდლსბრო**

0:1 თუნჯაი (9), 1:1, 2:1, 3:1 ტორესი (28, 29, 61), 3:2 დაუნინგი (83)
ლივერპული: რეინა, ფინანი, არბელოა, ჰიიპია, აურელიო, კუიტი (რიისე 73), ლეივა, მასკერანო, ბაბელი (ბენაიუნი 62), ჯერარდი, ფ. ტორესი (კრაუჩი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, უიტერი, გრაუნდსი, პოგატეცი, ონილი (მიდო 59), როჩემბაკი, არკა, დაუნინგი, ალიადირი, თუნჯაი (აფონსო ალვეში 69)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: რეინა, ფინანი, ალიადირი, თუნჯაი, უიტერი, როჩემბაკი, იანგი, ალიადირი
გაძევება: ალიადირი (85)
მსაჯი: მეისონი
43 612 მაყურებელი

**რედინგი 1:2 ასტონ ვილა**

0:1 იანგი (45), 0:2 ჰარვუდი (83), 1:2 შორი (90)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, შორი, სონკო, ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (კებე 88), სისე (ინგიმარსონი 71), მატეიოვსკი, კიტსონი, დოილი (ლონგი 71)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ასტონ ვილა: კარსონი, ლაურსენი, ბუმა, დევისი, მელბერი (ჰარვუდი 73), ბერი, რეო-კოკერი (ოსბურნი 86), გარდნერი, კარეუ, იანგი, აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: სონკო, გარდნერი, მატეიოვსკი
მსაჯი: ატკინსონი
23 889 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:0 სანდერლენდი**

1:0 დეფო (69პ)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ჰრეიდარსონი, დიოპი, დიარა, მუნტარი, კრანჩარი, ბაროში (კანუ 64), დეფო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
სანდერლენდი: გორდონი, ბერდსლი, ნოსვორთი, ევანსი, კოლინზი, უიტბიდი, ლიდბიტერი (იორკი 79), ეტუჰუ, მერფი (პრიკა 84), რიდი (ჩოპრა 70), ჯონსი
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: ჯონსონი, კოლინზი, იორკი
მსაჯი: დოუდი
20 139 მაყურებელი

**ფულემი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 სოლანო (87)
ფულემი: ნიემი, სტალტერი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, ანდრეასენი, ბალარდი, მერფი, დემპსი (ჯონსონი 76), მაკბრაიდი, კამარა
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, ფერდინანდი, აპსონი, მაკკარტნი, ლიუნგბერგი (სპექტორი 90), მალინსი, ფობერი (სოლანო 63), ნობლი, ბოა მორტე, კ. კოული (ეშტონი 80)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: მერფი, ჰანგელანდი, ანდრეასენი, ანდრეასენი
გაძევება: ანდრეასენი (88)
მსაჯი: ვები
25 280 მაყურებელი

**უიგანი 2:0 დერბი**

1:0 შარნერი (60), 2:0 ვალენსია (84)
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბოისი, შარნერი, ედმანი (კუმასი 90), ვალენსია, ბრაუნი, პალასიოსი, კილბეინი, ჰესკი (მ. ბენტი 90), კინგი (სიბიერსკი 85)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
დერბი: კეროლი, ლიუკი (ტოდი 46), სტაბსი, მური, მაკიველი, ფაგანი, ჯალი (სტერიოვსკი 62), სევიჯი, პირსონი (ვილა 57), ბერნსი, მილერი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ფაგანი
მსაჯი: ვაილი
20 176 მაყურებელი

**სიტი — ევერტონი**
დღეს გაიმართება

**ტოტენჰემი — ჩელსი**
გადაიდო

# ამას მოედანზე რა უნდა?
## მორფინი და ჟანგბადი ბირმინგემში



მაიკ ტეილორმა ედუარდო და სილვას კი არა, ფეხბურთს ჩაარტყა: ეს უკვე კაცისგან კაცის გამეტებაა

**„ეს ბიჭი** ფეხბურთიდან უნდა მოკვეთონ. მისი ადგილი მოედანზე არაა!" — განრისხდა არსენ ვენგერი ნამატჩევს. „არსენალის" მწვრთნელი ბირმინგემელმა მარტინ ტეილორმა გააბრაზა, რომელმაც ედუარდოს ფეხი მოსტეხა. ეს მეოთხე წუთზე მოხდა, როცა ტეილორი გაშლილი ფეხით ეცა ხორვატ ფორვარდს და ქაცვები წვივში ჰკრა. ედუარდო სიმწრისგან დაიკლანა და ათი წუთის განმავლობაში ექიმები დასტრიალებდნენ თავს. მას მორფინი გაუკეთეს და მოსასულიერებლად ჟანგბადის ბალიშიც დასჭირდა.

მსაჯმა ბირმინგემელი გააძევა, „არსენალის" ფეხბურთელები კი ჭირისუფლებივით დაჰყურებდნენ ედუარდოს ჩამოკონწიალებულ ფეხს. ასეთი ტრავმის მოშუშებას სულ მცირე, ექვსი თვე დასჭირდება. არადა, „მეთოფეებს" ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან" საპასუხო მატჩი აქვთ სათამაშო, პრემიერლიგაში კი პირველობისთვის იბრძვიან. ამასთანავე, ტომაშ როსიცკი და რობინ ვან პერსი ჯერაც არ გამოკეთებულან, ადებაიორს უკვე ზედიზედ ორ შეხვედრაში არ გაუტანია და დარჩა დანიელი ნიკლას ბენდტნერი, ვინაც „ბირმინგემთან" თავი ვერაფრით ვერ გამოიჩინა...

კაცნაკლული „ბირმინგემი" ჯეიმს მაკფადენმა საჯარიმო დარტყმით დააწინაურა, თეო უოლკოტმა კი მეორე ტაიმის დასაწყისში დუბლით უპასუხა. „მეთოფეებს" სამი ქულა უკვე მოყურებული ეგონათ, მაგრამ ბოლო წუთზე გაელ კლიში შეცდა, სტიუარტ პარნაბი საპენალტედ წააქცია და მაკფადენმა თერთმეტი მეტრიდან გაიტანა.

გაჭირვებულ „არსენალს" „მანჩესტერი" ალმართში დაეწია. ალექს ფერგიუსონის გუნდმა ნიუკასლელი „კაჭკაჭებისგან" ბუმბულიც არ დატოვა და „მეთოფეებთან" სხვაობა, დაკარგული ქულების გათვალისწინებით, სამამდე შეამცირა.

კრიშტიანუ რონალდუმ „ნიუკასლთან" პირველი წრის მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა, ამჯერად კი წყვილი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ იანვრის იმ შეხვედრაში „მანჩესტერმა" 6:0 მოიგო და „კაჭკაჭებს" არც ახლა დაადგათ კარგი დღე. დუბლი შეასრულა უეინ რუნიმაც, მეხუთე კი ლუი საამ მიითვალა.

„ნიუკასლში" კევინ კიგანის მისვლის დღიდან თითქმის თვე გავიდა და ერთი მატჩიც არ მოუგია.

რუნიმ რონალდუს პასით გახსნა ანგარიში, ტაიმის მიწურულს კი პორტუგალიელმა კარიკისგან მიიღო ბურთი და შეი გივენს აჯობა. გივენი ტრავმის გამო მეორე ტაიმში სტივ ჰარპერმა შეცვალა. ჰარპერს რონალდუმ მალევე გაუტანა — ტეილორის შეცდომით ისარგებლა, მეკარესაც გასცდა და სეზონში 21-ე გოლი შეაგდო. ამდი ფაიემ ერთი კი გაქვითა, მაგრამ რუნიმ და საამ არ შეარჩინეს — სხვაობა ოთხამდე აიყვანეს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ლივერპულის" არც ერთ ფეხბურთელს სეზონში 20 გოლი არ გაეტანა და ეს ფერნანდო ტორესმა მოახერხა, რომელმაც „მიდლსბროსთან" სამჯერ შეაგდო.

„უცხოელისთვის პრემიერლიგასთან შეგუება ძალიან ძნელია, მაგრამ ფერნანდო ტორესი უმალ ჩაეწერა — ხარობდა რაფაელ ბენიტესი — გასულ ზაფხულს ათი ფორვარდი მყავდა შესაძენთა სიაში, მერე სამამდე შევამცირეთ და ტორესზე შევჩერდით. როგორც ხედავთ, არ შევმცდარვარ".

ბოროელები მეცხრე წუთზე თუნჯაიმ დააწინაურა. მასპინძელთა ესპანელმა ფორვარდმა კი ორ წუთში ორი გოლი მიითვალა. მან ჯერ ხულიო არკას შეცდომით იხეირა, მერე 25 მეტრიდან შეაგდო. მეორე ტაიმში ტორესმა მცველ-მეკარის ბედოვლათობითაც ისარგებლა და მესამე გატანა. სტიუარტ დაუნინგმა სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ „მიდლსბროს" ჟერემი ალიადირი გაუძევეს, ბოლო ხუთი წუთი კაცნაკლულებმა ითამაშეს და გასათანაბრებლად ველარ შეუტიეს.

ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემმა" „ფულემს" ნოლბერტო სოლანოს იმ გოლით მოუგო, რომელიც გასარჩევი გახდა. „ჩაქუჩების" პერუელმა მასპინძელთა წაქცეულ მეკარეს ბურთი ხელიდან გააგდებინა, მხარში ფეხიც ჩაარტყა და ასე გაიტანა. ფულემელმა მცველმა ლეონ ანდრეასენმა მსაჯს ჩხუბი აუტეხა, რატომ ჩათვალეო და, ამის გამო გააძევეს.

გუშინ კიდევ ორი მატჩი გაიმართა: რედინგში „ასტონ ვილამ" 2:1 იმარჯვა და ქულებით ორ მერსისაიდულ კლუბს დაეწია, ხოლო ბლექბერნში ზურაბ ხიზანიშვილის გუნდმა „ბოლტონი" 4:1 გაანადგურა. ქართველმა მცველმა მატჩი შეუცვლელად და უშეცდომოდ ჩაატარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 27 | 19 | 7 | 1 | 56:20 | 64 |
| მანჩესტერი | 27 | 19 | 4 | 4 | 55:15 | 61 |
| ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38:17 | 55 |
| ლივერპული | 26 | 12 | 11 | 3 | 43:19 | 47 |
| ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41:23 | 47 |
| ასტონ ვილა | 27 | 13 | 8 | 6 | 50:35 | 47 |
| პორტსმუთი | 27 | 12 | 8 | 7 | 37:26 | 44 |
| სიტი | 26 | 12 | 8 | 6 | 34:29 | 44 |
| ბლექბერნი | 27 | 11 | 9 | 7 | 36:34 | 42 |
| ვესტ ჰემი | 26 | 11 | 7 | 8 | 31:23 | 40 |
| ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48:41 | 32 |
| მიდლსბრო | 27 | 7 | 8 | 12 | 25:41 | 29 |
| ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 30:52 | 28 |
| უიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 26:42 | 26 |
| სანდერლენდი | 27 | 7 | 5 | 15 | 26:46 | 26 |
| ბოლტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 27:39 | 25 |
| ბირმინგემი | 27 | 5 | 8 | 14 | 27:40 | 23 |
| რედინგი | 27 | 6 | 4 | 17 | 31:55 | 22 |
| ფულემი | 27 | 3 | 10 | 14 | 25:45 | 19 |
| დერბი | 27 | 1 | 6 | 20 | 13:57 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 21 |
| ადებაიორი (არსენალი) | 19 |
| ფ. ტორესი (ლივერპული) | 15 |
| მვარუვარი (პორტსმუთი/სიტი) | 13 |
| კინი (ტოტენჰემი) | 12 |
| ანელკა (ბოლტონი/ჩელსი) | 11 |
| სანტა კრუზი (ბლექბერნი) | 11 |
| ტევესი (მანჩესტერი) | 11 |

### XXVIII ტური
1 მარტი

| | |
|---|---|
| არსენალი | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | ტოტენჰემი |
| ბოლტონი | ლივერპული |
| დერბი | სანდერლენდი |
| ევერტონი | პორტსმუთი |
| ფულემი | მანჩესტერი |
| სიტი | უიგანი |
| მიდლსბრო | რედინგი |
| ნიუკასლი | ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი | ჩელსი |

### ჩემპიონატი. XXXIV ტური

ბლექპული — ჩარლტონი 5:3; კოლჩესტერი — ბრისტოლი 1:2; ქოვენთრი — ლესტერი 2:0; კრ. პალასი — ვულვზი 0:2; ნორვიჩი — ბარნსლი 1:0; პლიმუთი — ბარნლი 3:1; ქუინზ პარკი — შეფილდი 1:1; სკანთორპი — საუთჰემპტონი 1:1; უენსდი — კარდიფი 1:0; სტოკი — იფსვიჩი 1:0; უოტფორდი — პრესტონი 0:0; ვესტ ბრომვიჩი — ჰალი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტოკი | 34 | 17 | 11 | 6 | 59:43 | 62 |
| ბრისტოლი | 34 | 17 | 10 | 7 | 42:40 | 61 |
| უოტფორდი | 34 | 17 | 9 | 8 | 54:40 | 60 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 16 | 7 | 10 | 67:42 | 55 |
| პლიმუთი | 34 | 14 | 10 | 10 | 45:33 | 52 |
| ჩარლტონი | 34 | 14 | 10 | 10 | 49:41 | 52 |
| იფსვიჩი | 34 | 14 | 9 | 11 | 51:42 | 51 |
| ჰალი | 33 | 13 | 11 | 9 | 41:37 | 50 |
| ბარნლი | 33 | 12 | 11 | 10 | 45:44 | 47 |
| ვულვზი | 33 | 12 | 11 | 10 | 32:34 | 47 |
| კრ. პალასი | 34 | 11 | 13 | 10 | 38:35 | 46 |
| ნორვიჩი | 34 | 12 | 9 | 13 | 33:41 | 45 |
| კარდიფი | 33 | 11 | 11 | 11 | 42:41 | 44 |
| ბლექპული | 34 | 10 | 12 | 12 | 46:45 | 42 |
| შეფილდი | 33 | 9 | 13 | 11 | 35:37 | 40 |
| ქუინზ პარკი | 33 | 10 | 10 | 13 | 43:50 | 40 |
| ბარნსლი | 33 | 10 | 10 | 13 | 37:50 | 40 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 6 | 15 | 36:46 | 39 |
| საუთჰემპტონი | 34 | 10 | 9 | 15 | 43:56 | 39 |
| ლესტერი | 34 | 8 | 13 | 13 | 33:33 | 37 |
| უენსდი | 32 | 10 | 5 | 17 | 34:40 | 35 |
| პრესტონი | 33 | 9 | 7 | 17 | 31:40 | 34 |
| კოლჩესტერი | 33 | 6 | 14 | 13 | 46:54 | 32 |
| სკანთორპი | 34 | 7 | 11 | 16 | 32:50 | 32 |

### I ლიგა. XXXIV ტური

ჰარტლპული — ნორთჰემპტონი 0:1; სუონსი — ლუთონი 1:0; ბორნმუთი — ჩელტენემი 2:2; ბრაიტონი — ოლდემი 1:0; როვერსი — ტრანმერი 1:1; კარლაილი — დონკასტერი 1:0; ჯილინგემი — ჰადერსფილდი 1:0; ლიდსი — ქრიუ 1:1; ლეიტონი — ნოტინგემი 0:1; მილუოლი — პორტ ვეილი 3:0; სუინდონი — უოლსოლი 0:3; იოვილი — საუთენდი 0:3

### კონფერენსლიგა. XXXIV ტური

კემბრიჯი — ფორესტ გრინი 2:0; ექსეტერი — ფერსლი 2:1; ჰალიფაქსი — სტაფორდი 0:0; კიდერმინსტერი — სალისბერი 1:2; სტივენეიჯი — გრეისი 0:0; ვეიმუთი — ჰისტონი 0:1; უოქინგი — ნორსვიჩი 2:3. ბარტონი — ჰალიფაქსი, იორკი — ოქსფორდი, დროისლდენი — ტორკი, ექსეტერი — ალდერშოტი და სტაფორდი — რაშდენი გადაიდო

### II ლიგა. XXXIV ტური

აკრინგტონი — სტოკპორტი 0:2; ბარნეტი — დონსი 0:2; ბერი — დარლინგტონი 1:2; ჩესტერფილდი — ბრენტფორდი 1:0; დაგენემი — მორეკემბი 2:0; მაკლსფილდი — პიტერბრო 0:3; მენსფილდი — ჩესტერი 1:3; ნოტსი — ბრედფორდი 1:3; როჩდეილი — უიკომბი 0:1; როტერჰემი — ლინკოლნი 3:2; შრიუსბერი — ჰერეფორდი 1:2; რექსემი — გრიმსბი 0:0

# გიჩების დღე

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XXI ტური

**ლევერკუზენი 1:0 შალკე**

1:0 ფრიდრიხი (85)
ლევერკუზენი: ფერნანდესი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, შარპეი, ვიდალი (ფრაიერი 72), როლფსი, ბ. შნაიდერი (კალსენ-ბრაკერი 87), ბარბარესი (გეკასი 63), ბარნეტა, კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ჯონსი, რაკიტიჩი (ა. შტრაიტი 59), კობიაშვილი (ჰალილ ალტინტოპი 87), კურანი, ასამოა (ლოვენკრანდსი 46)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ბარნეტა, ერნსტი, შნაიდერი, კობიაშვილი, კასტრო, რაფინია
გაძევება: ჯონსი (90)
მსაჯი: გრეფე
22 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 კარლსრუე**

1:0 გომესი (5), 2:0 ჰილბერტი (26), 2:1 ჰაინალი (81), 3:1 კაკაუ (88)
შტუტგარტი: ულრიხი, ბეკი, ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი, ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი (და სილვა 65), გომესი (ხედირა 78), მარიკა (კაკაუ 68)
მწვრთნელი: არმინ ფეე
კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი, ადუბე (ფრაისი 55), ტიმი, ჰაინალი, იაშვილი (კარნელი 72), კენედი (კაპლანი 72)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
გაფრთხილება: ბაშთურქი, ჰაინალი
მსაჯი: მერკი
58 800 მაყურებელი

**ბაიერნი 1:1 ჰამბურგი**

0:1 ოლიჩი (60), 1:1 ზე რობერტო (66)
ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, ჰამიტ ალტინტოპი, შვაინშტაიგერი (რიბერი 60), კლოზე (პოდოლსკი 74), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ბენჯამინი, კომპანი, დე იონგი, იაროლიმი (ბოატენგი 82), ტროხოვსკი, ოლიჩი (ვან დერ ვაარტი 78), გერერო (ზიდანი 86)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ლელი, იაროლიმი, კომპანი, გერერო, ბოატენგი
გაძევება: ვან ბომელი (90)
მსაჯი: ვაგნერი
69 000 მაყურებელი

**აინტრახტი 1:0 ვერდერი**

1:0 ამანატიდისი (56)
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, კირიაკოსი, გალინდო, შპიხერი, ინამოტო (კაიო 46), მ. ფინკი (რუსი 71), კრისი, კიოლერი, ამანატიდისი (მანციოსი 89), ფენინი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა (კ. ფრიცი 79), მერტესაკერი, ნალდო, ბოენიში, ბაუმანი, ვრანიეში (ჰარნიკი 74), ბოროვსკი, დიეგო, სანოგო, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ინამოტო, ვიზე, კრისი, ვრანიეში, ფენინი, ოხსი
გაძევება: დიეგო (40)
მსაჯი: ფლაიშერი
51 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:0 ჰანზა**

1:0 კლიმოვიჩი (67)
დორტმუნდი: მ. ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, კოვაჩი, ბაკლი, კრუშკა, კრინგე (კლიმოვიჩი 57), ტინგა, ფედერიკო (ჰუმელსი 72), პეტრიჩი, ფრაი (ვალდესი 33)
მწვრთნელი: თომას დოლი
ჰანზა: ვეხტერი, ლუკიმია, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, ბიულოვი (დორნი 80), რატგები, იელენი (ბარტელსი 53), კერნი, რანი, შაპურზადეჰი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: კოვაჩი, რანი, კლიმოვიჩი, შაპურზადეჰი, კერნი
მსაჯი: ფანდელი
70 700 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:0 ჰერტა**

ვოლფსბურგი: ბენალიო, რიკარდუ კოშტა (დეჯაგა 54), შიმუნეკი, მადლუნგი, მ. შეფერი, გენტნერი, ჰასებე, ჟოსუე, მარსელინიო (ლიუბოია 80), ძეკო, გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: დრობნი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ფატი (ვონ ბერგენი 46), ჩაჰედი, ლუშტენბერგერი, კაჩარი (მინეირო 76), სკაჩელი, ებერტი (ს. ოკორონკვო 85), რეფაელი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: მარსელინიო, ფატი, რიკარდუ კოშტა, კაჩარი, გრაფიტე, შიმუნიჩი
მსაჯი: კინჰოფერი
23 659 მაყურებელი

**ბოხუმი 2:1 ჰანოვერი**

1:0 ჩერუნდოლო (30ს.კ.), 1:1 ჰანკე (47), 2:1 აუერი (52)
ბოხუმი: ლაშტუვკა, პფერცელი, იაია, მალტრიცი, პ. ბიონიგი (მაიხელბეკი 67), იმჰოფი, ცდებელი, დ. ფუხსი (ო. შრიოდერი 75), ონო, აუერი, შესტაკი (ეპალე 86)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი, კ. შულცი, როზენტალი (ლაუტი 46), ბრუგინკი (ჰაშემიანი 46), კრებსი (შტაინერი 71), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: შესტაკი, ფარენჰორსტი, ცდებელი, ბალიტჩი, ლაშტუვკა, ჰანკე
მსაჯი: გაგელმანი
19 902 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:1 კოტბუსი**

1:0 ენგელჰარდტი (58), 1:1 სორენსენი (59)
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, მნარი, გალაშეკი, ხარისტიასი, მინტალი, ენგელჰარდტი (კრისტიანსენი 79), კოლერი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
კოტბუსი: ტრემელი, რადელჯიჩი, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა, ს. ანგელოვი, ტ. როსტი, შკელა (იელიჩი 86), დ. სორენსენი, პაპადოპულოსი (ვასილიევიჩი 71)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
გაფრთხილება: პინოლა, ბასილა, რადელჯიჩი
მსაჯი: დრეესი
40 900 მაყურებელი

**არმინია 0:2 დუისბურგი**

0:1 შრიოტერი (8), 0:2 იშიაკუ (48)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, მიატოვიჩი, გაბრიელი (აიგლერი 52), შულერი, კაუფი, კუჩერა, კამპერი, ბიომე (ჰალფარი 68), ვიშნიარეკი, ზუმა
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
დუისბურგი: შტარკე, გრლიჩი, ფერნანდო, შლიკე, ვებერი, ტარარახე, ვილი, შრიოტერი (გეორგიევი 86), ტიფერტი, ნიკულესკუ (ვრუცინა 90), იშიაკუ (მიოლდერსი 75)
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
გაფრთხილება: კორჟინეცი, ტიფერტი
მსაჯი: მეიერი
19 200 მაყურებელი


„ბაიერნის“ ფილიპ ლამი და ოლივერ კანი ქულითაც კმაყოფილნი არიან

**ბუნდესლიგაში** შაბათს ერთმანეთს აგინეს და გოლების გატანაში იძუნწეს. უხვგოლიანობით გამორჩეულ ჩემპიონატში გუშინწინ ექვს მატჩში ცხრაზე მეტი არ გავიდა.

„ვერდერის“ დიეგოს ფრანკფურტელმა კირიაკოსმა შეაგინა, ბრაზილიელი კი გაექაჩა და გააძევეს.

„შტუტგარტის“ ფორვარდმა მარიო გომესმა კირიაკოსს აჯობა და „კარლსრუესთან“ მატჩის შემდეგ ინტერვიუში სტუმარ მაიკ ფრანცს უკანალი უწოდა.

„ის უკანალია — გაცხარდა გომესი ტელეკამერასთან — ის არის სპორტსმენი, რომელიც სამართლიანად არ თამაშობს და მსაჯები ამაზე თვალს ხუჭავენ. აღარ მინდა ლაპარაკი ფრიცზე, რადგან ღირსი არაა და არ მსურს, მის დონეზე დავეშვა“.

მოგვიანებით მარიო გომესმა საკუთარ ვებ გვერდზე მოიბოდიშა, მაგრამ სასჯელს ალბათ ვერ გადაურჩება. ბუნდესლიგის სადისციპლინო კომიტეტი ამბავს გამოიძიებს და ფეხბურთელს საკადრისს მიაგებს.

ნამატჩევს ბოდიში მოიხადა ბრემენელმა დიეგომაც: „კირიაკოსთან ბურთისთვის ვიბრძოდი და ერთმანეთს დავეჯახეთ, მაგრამ მან „fuck you“ მითხრა და თავი ველარ შევიკავე. ახლა ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი“. დიეგოს წითელ ბარათს, სავარაუდოდ, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით შეაფასებენ.

„ვერდერს“ „ბაიერნთან“ ქულებით გათანაბრების შანსი ჰქონდა, მაგრამ კაცნაკლულმა „მუსიკოსებმა“ „აინტრახტთან“ წააგეს. ფრანკფურტელებმა სამი ქულა მიითვალეს, სამი საფეხურით ამაღლდნენ და მეშვიდე ადგილს უწიეს. გოლი იოანის ამანატიდისმა გაიტანა მას შემდეგ, რაც იურიცა ვრანიეშმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა.

